



Հ Օ Տ
806046



ՍԱԳՈՑՁՈՐԹԵՎԱՐ
ՍԱՎՅՈՒՆ
ԹԻՑԱԲՈՒՆԱՅՈՒՆ



საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზაცია

ნაწილი II

(მყითხველებთან მუშაობა. საბიბლიოთეკო
საქმის ორგანიზაცია და მართვა)

ჭ ე მ დ გ ე ნ ლ ი ბ ი:

ალ. ლორია, 6. ბურგენიძე

გამოცემალი „საქართველო“
თბილისი — 1996

საბიბლიონურო მექ.

„საბიბლიონოეკო საქმის ორგანიზაციის“ მეორე ნაწილში გაშუქებულია ბიბლიოთეკათმცოდნეობის ორი დისციპლინის — მკითხველებთან მუშაობის მეთოდიების და საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზაციისა და მართვის უმთავრესი საკითხები. წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი პ. ბუჩნიძეაშვილი

რეცენზენტები: მ. ოსაძე
გ. პიპაროიძე



- © საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის
წიგნის მოყვარულთა საზოგადოება.

1996

პითევის ხელმძღვანელობა

წიგნი საზოგადოებრივი მოვლენაა. მისი წარმოება, გავრცელება, დაცვა, კითხვა ცხოვრებისეული აუცილებლობით არის განპირობებული. იგი ყველაზე მძლავრი იარაღია კლასობრივ ბრძოლაში, რის გამოც მას უდიდესი ადვილი უჭირავს საზოგადოებრივ ურთიერთობაში.

წიგნის საზოგადოებრივი დანიშნულება სხვადასხვა იყო ამა თუ იმ ეპოქაში. მაგრამ იგი ყოველთვის წარმოადგენდა მასის, ხალხის აღზრდისა და განვითარების ყველაზე მოწინილ საშუალებას.

362 წიგნისა და ადამიანის ურთიერთობა არ შემოიფარგლება მხოლოდ სოციალური გარემოთი, იგი ღრმა ფსიქოლოგიური ბუნებისაა. ამდენად, კითხვა განიხილება როგორც ურთულესი ფსიქოლოგიური პროცესი, რომელზედაც ყველა ფენომენი გარკვეულ გავლენას ახდენს — შესსირება, ყურადღება, ნებისყოფა, და სხვ. რა მოხხოვნილების ნიადაგზეც არ უნდა იყოს წარმოშობილი კითხვის პროცესი, იგი თავისი ფორმითა და შინაარსით შეიმძინა იდენტურია და თითქმის ყოველთვის შემოქმედებითი ბუნებისაა¹.

უპირველეს ყოვლისა, წიგნი გონიერივად ავითარებს

1. ამ საკითხის შესახებ დაწვრილებით იხილეთ: ა. ლორია. კითხვის კულტურა და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები. თბ., 1984 წ.

ადამიანს. წიგნისაგან ადამიანი მხოლოდ ინტელექტუალურ, მორალურ-ზნეობრივ ზეგავლენას როდი ჭარბი განვიტანებულ მას აგრეთვე უყალიბდება მრწამსი, შეხედულებები, იდეური კონცეფციები, იფი იხვეწება ესთეტიკურად, უმუშავდება ეთიკური ნორმები, წიგნი აღზრდის საშუალებად გვივლინება.

ბიბლიოთეკა, როგორც კითხვის კოლექტიური ორგანიზატორი, საზოგადოების კითხვას მართავს პედაგოგიური მეთოდებით, რასაც კითხვის ხელმძღვანელობა ეწოდება.

კითხვის ხელმძღვანელობა გულისხმობს მკითხველისადმი აქტიურ დახმარებას კითხვის სრულყოფილად ორგანიზების საქმეში. მისი დანიშნულებაა, ხელი შეუწყოს მკითხველს სწორად კითხვაში.

სწორი კითხვა გულისხმობს კითხვის იმგვარ თრგანიზაციას, როდესაც იგი მიმდინარეობს გეგმიურად, შეგნებულად და რაციონალურად, რასაც დიდი შემეცნებითი ღირებულება აქვს. }

სწორი კითხვა სამი პირობით განისაზღვრება:

1. მკითხველს უნდა ჰქონდეს თავისი იდეური პოზიცია;

2. კითხვა მაქსიმალურად უნდა აქმაყოფილებდეს მკითხველის მოთხოვნილებას, სრულყოფილად პასუხობდეს მის მიზნებს და ხელს უწყობდეს იმ ამოცანების გადაწყვეტას, რომლებიც წიგნზე მუშაობის დროს აქვს დასახული;

3. მკითხველს უნდა გააჩნდეს კითხვის მაღალი კულტურა — ფლობდეს წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევებს, შეეძლოს იკითხოს რაციონალურად.

ამ პირობათა რეალიზაციისათვის ხელშეწყობა მომავალი და სწორედ ამაში გამოიხატება კითხვის ხელმძღვანელობის მთელი ორსი. მისი განხორციელების მიზნით ბიბლიოთეკა ეხმარება მკითხველს მისთვის საჭირო ლიტერატურის გამოვლენაში, ძიებაში, შერჩევაში, წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობაში, შინაარსის ღრმად წვდომაში, მის საფუძვლიანად დამუშავებასა და გაგებაში, საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული ცოდნის დაუფლებაში და ა. შ. ყოველივე ეს ხდება პედაგოგიური თვალსაზრისით ჩამოყალიბებული მეთოდებისა და ფორმების გამოყენებით, ფსიქოლოგიური ნორმებისა და კანონების, მკითხველთა თავისებურებების გათვალისწინებით, სავსებით წინასწარგანზრახულად, გეგმიურად, თანმიმდევრულად, და ეს პროცესი, მეტნაკლებად, ყველა მკითხველისათვის სასარგებლო და საჭიროა.

კითხვის ხელმძღვანელობა მკითხველ აუდიტორიაზე ვრცელდება დიფერენციულად, მკითხველთა თავისებურებების გათვალისწინებით. სწორედ მკითხველის თავისებურებანი განაპირობებენ კითხვის ხელმძღვანელობის დროს ფორმებისა და მეთოდების შერჩევასა და გამოყენებას, იმას, თუ რა დროსა და რა შემთხვევაში რას მივმართოთ, როგორ ვიმუშაოთ მკითხველებთან.

კითხვის ხელმძღვანელობა მოითხოვს სათანადო პრინციპების დაცვას. პრინციპებს ყოვლისა, ის გულისხმობს არა აღმინისტრირებას, არამედ დახმარებას, გაძლოლას, რჩევას, დარიგებას, რეკომენდებას, ჩვენებას, ინფორმირებას. ამასთან, ის გამორიცხავს ყოველგვარ იძულებას, ძალდატანებას, ზემოქმედების არაპედაგოგიურ მეთო-

ლებს, აქრძალვასა და ღრუეთას, დასჯას. მკითხველები ყველა მოქმედებისათვის საბიბლიოთები დარგის მუშაქები იყენებენ ინტერესის, სურვილის აღძვრის, მათი ვანვითარებისა და გაძლიერების ღონისძიებებს.

ბიბლიოთეკა კითხვის ხელმძღვანელობის მრავალ ფორმასა და მეთოდს იყენებს. ის, თუ რას მიმართოს მან ამა თუ იმ შემთხვევაში, დამკიდებულია, უპირველეს ყოვლისა, მკითხველზე, მის პიროვნულ თავისებურებებზე. მოთხოვნილებებსა და მიზნებზე, მისი კითხვის ჟულტურის დონეზე, წიგნზე მუშაობის ხასიათზე, აგრეთვე არსებულ სიტუაციაზე, ვარემო პირობებზე, ბიბლიოთეკის ტიპზე, იმ ძირულ ამოცანებზე, რასაც ის ისახავს მკითხველებთან მუშაობის დროს, ამასთან, მხედველობაში მისაღებია ისიც. თუ რა შესაძლებლობები გააჩნია ბიბლიოთეკის, როგორია მისი კონტინგენტი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, როგორაა იქ დაყენებული საქმე და ა. შ. ცხადია, ყველა ბიბლიოთეკაში კითხვის ხელმძღვანელობა ერთნაირი ვერ იქნება.

კითხვის ხელმძღვანელობის დონე ბევრად არის დამკიდებული საქმის მეთოდურად სწორად წარმართვაზე, იმაზე, თუ როგორ არის ორგანიზებული კითხვის ხელმძღვანელობის პროცესები.

ბიბლიოთეკაში უამრავი სამუშაო ტარდება. ყველაფრის ჩამოთვლა შეუძლებელიცაა, მით უმეტეს, ძნელი ვილაპარაკოთ ყველა ოპერაციასა თუ პროცესზე. ჩვეულებრივ, საბიბლიოთეკო პროცესებს ციკლებად ყოფენ. ირთ-ერთ უმთავრეს ციკლს მკითხველებთან მუშაობა წარმოადგვნს. ამ ციკლში შედის ისეთი პროცესები, რომელთა წარმოება განპირობებულია ბიბლიოთეკარისა

და მკითხველის უშუალო ურთიერთობით ან მიმღებელის
ობს მკითხველზე გარკვეული ზეგავლენის მიზნით, ან
მკითხველის კონკრეტული მოთხოვნით. ასეთი პროცე-
სები საქმიოდ ბევრია და მათ შეიძლება ჰქონდეთ რო-
გორც ტექნიკური, ანუ სტატიკური, ისე მეთოდიკური,
ღინამიკური ხასიათი. ტექნიკური პროცესი უცვლელია,
წინასწარ შემუშავებული ინსტრუქციის მიხედვით წარ-
მოებს, დადგენილ წესებს ექვემდებარება, დაკანონებული
ფორმით მიმღინარეობს. მეთოდიკური კი შემოქმედებითი
ხასიათისაა, აქ ბევრი რამ დამოკიდებულია ბიბლიოთე-
კურის კვალიფიციურობაზე, მის ცოდნასა და გამოცდი-
ლებაზე. მის პიროვნულ თავისებურებებზე, თუმცა აქავ
ვითვალისწინებთ წინასწარ შემუშავებულ მეთოდიკურ
შითითებებსა და რეკომენდაციებს.

მკითხველებთან მუშაობის ციკლში შემავალი პრო-
ცესები დაჯგუფებულია ოთხ კომპლექსად, ესენია:

1. წიგნის კითხვასა და ბრუნვასთან დაკავშირებული
პროცესები (წაკითხულის ანალიზი, წიგნის გამოწერა,
რეკომენდება, გაცემა-მიღება და სხვ.).

2. წიგნის პრაგანდისა და ბიბლიოგრაფიული მო-
მსახურების პროცესები (ინფორმაცია, ბიბლიოგრაფი-
ული ცნობების გაცემა, ძიება და სხვ.);

3. საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული ცოდნის პრო-
პაგანდის პროცესები (ბიბლიოთეკისა და მისი სამუშაო
პროცესების გაცემბა, კატალოგებით მუშაობის წესების
გაცნობა, სხვადასხვა ინსტრუქციის ძირითადი დებულე-
ბების დაყვანა მკითხველამდე, ხელშეწყობა კითხვის კუ-
ლტურის ღონის ამაღლებისათვის და სხვ.);

4. მკითხველთა შესწავლის პროცესი (მკითხველთა

თავისებურებებზე დაკვირვება, მათი ინტერესების შესწავლა და სხვ.).

ყველა კომპლექსი, გარდა მეოთხესი, შეიცავს კითხვის ხელმძღვანელობის პროცესებს, მაგრამ ასეთ პროცესებად მიიჩნევა მხოლოდ მეთოდიკური ხასიათის პროცესები და არა ტექნიკური. ტექნიკური ხასიათის სამუშაოები არ შეიძლება კითხვის ხელმძღვანელობის პროცესებად წარმოვიდგინოთ. სინამდვილეში, აქ დასახელებული პირველი სამი კომპლექსის ყველა მეთოდიკური ხასიათის პროცესი ფაქტოურად კითხვის ხელმძღვანელობის პროცესია.

კითხვის ხელმძღვანელობის პროცესები თავის მხრივ იყოფა ორ ჯგუფად: პირველი, ისეთი პროცესებია, რომელთა მეშვეობითაც მუშაობას ვეწევით მხოლოდ პიროვნებასთან, ინდივიდთან, მეორე, რომელთა საშუალებითაც მუშაობა მიმდინარეობს მკითხველთა ჯგუფებთან, კოლექტივთან.

ამგვარად, ანსხვავებინ ინდივიდუალური კითხვის ხელმძღვანელობასა და მასობრივი (ჯგუფური) კითხვის ხელმძღვანელობას.

ინდივიდუალური კითხვის ხელმძღვანელობა

ინდივიდუალური კითხვის ხელმძღვანელობა ყველაზე მეტად გავრცელებული მეთოდია. ბიბლიოთეკა მკითხველებთან უმეტესწილად სწორედ ინდივიდუალურად ამყარებს ურთიერთობას და ამგვარად, განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ მას ენიჭება. მიუხედავად ამისა,

ინდივიდუალური კითხვის ხელმძღვანელობის ფარგლები
 და მეთოდები არ გამოირჩევიან მრავალფეროვნებით. ეს
 იმით არის გამოწვეული, რომ ამ შემთხვევაში ძალიან
 ძნელია წინასწარ ჩამოყალიბებული რეკომენდაციების
 მიერმა, რადგანაც ყოველი მკითხველი სავსებით განს-
 ხვავებულ პიროვნებას წარმოადგენს, და ყველა მათგა-
 ნის თავისებურებათა გათვალისწინება ყოვლიდ შეუძლე-
 ბელია. ზოგადი მითითებები აქ ნაკლებად ღირებულია
 და ამიტომაც რთულდება ფორმების იმგვარად მოდელი-
 რება, რომ იგი საერთო იყოს ყველასათვის. მაგრამ, მიუ-
 ხედავად ამისა, ნაწილობრივ მაინც ხერხდება რამდენიმე
 ფორმის ისე დამუშავება, რომ მან ზოგადი მეთოდის
 სახე მიიღოს.

ერთ-ერთ ასეთ ფორმას წარმოადგენს საუბარი. იმის
 მიხედვით, თუ რას ვისახავთ მიზნად, საუბარი სხვადა-
 სხვაგვარია. მაგალითად, საუბარი შეიძლება მიზნად ისა-
 ხავდეს, მკითხველს მისცეს სწორი გეზი ლიტერატურის
 შერჩევასა და დამუშავებაში. მისი მეშვეობით შეიძლება
 ვავერკვეთ აგრეთვე. როგორ აითვისა მასალა მკითხველ-
 მა, რა შეხედულებები შეუმუშავდა და სხვ. ამასთან ერ-
 თად, საუბრის საშუალებით ხდება ლიტერატურის რეკო-
 მენდება, რჩევა-მითითება. მკითხველების ინტერესების
 შესწავლა, მათი თავისებურებების გარკვევა.

ფრიად მნიშვნელოვანია საუბარი მკითხველის პიბ-
 ლიოთებაში ჩაწირის დროს მისი გაცნობის მიზნით. ამ
 შემთხვევაში პიბლიოთეკარი არცევს არა მარტო მკით-
 ხველის ანკეტურ მონაცემებს, არამედ ზოგ სხვა საკით-
 ხსაც: რომელი ბიბლიოთეკებით სარგებლობს, რომელ
 უნებზე კითხულობს, აინტერესებს თუ არა პერიოდული

გამოცემები, აქვს თუ არა პირადი ბიბლიოთეკა და ორგონი, რა უურნალ-გაზეთები აქვს გამოწერილი, რომელი დარგითაა დაინტერესებული და ა. შ.

საუბარი, ერთი მხრივ, დამოკიდებულია მიზანზე, რომელსაც ვისახავთ მკითხველებთან მუშაობის დროს, მეორე მხრივ, მკითხველთა კატეგორიაზე. ისევე, როგორც ყოველგვარი მეთოდისა თუ ფორმის გამოყენებისას, საუბრის დროსაც უნდა ვღებულობდეთ კონკრეტულ შედეგს, რაც ხელს შეუწყობს კითხვის ხელმძღვანელობის ნაყოფიერად წარმართვას.

საუბრის ნაირსახეობას წარმოადგენს ამ ბოლო დროს ჩვენს ბიბლიოთეკებში საკმაოდ გავრცელებული ისეთი მეთოდი, როგორიც არის ინტერვიუ, თუ საუბრის დროს ბიბლიოთეკარი და მკითხველი აზრთა ურთიერთგაცვლას ახდენენ, ინტერვიუ მხოლოდ პასუხს დალისხმობს შეკითხვებზე, რომლებზედაც შემდგომში მოხდება დაკვირვება და სათანადო აზრი იქნება შემუშავებული.

ინდივიდუალური მუშაობის ერთ-ერთ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს აგრეთვე საბიბლიოთეკო კონსულტაცია. ძირითადად სამი სახის კონსულტაციას ვანსხვავებთ: 1) ბიბლიოგრაფიულს, 2) თემატურს, 3) მეთოდიკურ-ინსტრუქციულს.

ბიბლიოგრაფიული კონსულტაციით მკითხველს ვენახარებით ბიბლიოგრაფიულ ძიებაში, საჭირო ლიტერატურის გამოვლენაში, უმეტესად იმ შემთხვევებში, როდესაც შეკითხველს ფაქტობრივი მასალის დადგენა ან დაზუსტება სჭირდება (ავტორის ვინაობა, მერამდენე გამოცემაა და სხვ.).

თემატური კონსულტაცია მკითხველს ეხმარება ამა

თუ იმ კონკრეტული საკითხის გარევევაში, გამსაჯულტაციაში ბით მაშინ, თუ წაკითხული წიგნის ირგვლივ არსებობს რამე გაუგებრობა, გაურკვევლობა, შეფასების უზუსტობა და სხვ.

მეთოდიკურ-ინსტრუქციულ კონსულტაციაში: იყენებენ საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული ცოდნის პროცეგანდის დროს. ამ შემთხვევაში მკითხველს ვებმარებით, შეისწავლოს ბიბლიოთეკაში მუშაობისათვის აუცილებლად საჭირო ელემენტები, აითვისოს წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის მეთოდიკა.

მკითხველებთან ინდივიდუალური მუშაობის დროს ჩვენი ბიბლიოთეკები წარმატებით იყენებენ კითხვის გეგმებს. იმის მიხედვით, თუ როგორ მკითხველთან გვაქვს საქმე, როგორია მისი წიგნზე მუშაობის ხასიათი, ბიბლიოთეკები აღვენენ ე.წ. ინდივიდუალურ კითხვის გეგმებს. ტიპიური კითხვის გეგმები აუნტრალიზებული წესით გამოიცემა, მაგრამ მათი უცვლელად გამოყენება ყველა მკითხველისათვის არ არის მოხერხებული. ამიტომ, ბიბლიოთეკაში ხდება მათი კორექტირება კონკრეტული მკითხველის ამოცანების, წიგნზე მუშაობისა და პიროვნული თავისებურებების გათვალისწინებით.

კითხვის გეგმა ჩვეულებრივ ბიბლიოგრაფიულ სისტარმოადგენს, იმ განსხვავებით, რომ აქ შეზღუდულია დასახელებული ლიტერატურის რაოდენობა და წაკითხვის პერიოდი. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორი თანმიმდევრობით უნდა იქნეს წაკითხული დასახელებული წიგნები, როგორც წესი, ასეთი გეგმა თემატურია და ითვალისწინებს მხოლოდ აუცილებელს, რაც ამ თემის ღრმა და საფუძვლიან შესწავლას

მოითხოვს, იმდენად, რამდენადაც გეგმა უფრითგანძანათლებლურ მუშაობასთან არის დაკავშირებული, ის ერთგვარ პროგრამას წარმოადგენს ამა თუ იმ თემის დასამუშავებლად. გეგმაში დასახელებული ლიტერატურის შესწავლა თანმიმდევრობით უნდა ხდებოდეს. ეს თანმიმდევრობა სასწავლო პროგრამის აგების პრინციპის მიხედვით არის ნავარაუდევი: უნდა წავიდეთ მარტივიდან რთულია აერნ, ზოგადიდან — კონკრეტულისაერნ, ნაცნობიდან — უცნობისაერნ. ამიტომ კითხვის გეგმაში წიგნების დასახელება სავნობრივი თუ ანბანური რიგით სავალდებულო არ არის.

ინდივიდუალური მუშაობის ცენტრალურ მომენტს წიგნის შერჩევაში მკონხველისადმი დახმარება წარმოადგენს. იგი მდგომარეობს იმაში, რომ მკითხველს შეექმნას შესაბამისი პირობები საჭირო წიგნის გამოვლენა-შერჩევისათვის. შერჩეული ლიტერატურა სრულყოფილად უნდა აქმაყოფილებდეს მკითხველის მოთხოვნილებას და შეესაბამებოდეს მის ინტერესებს, ამართლებდეს კითხვის მიზანს, შეეფარდებოდეს პიროვნების შესაძლებლობებს, ითვალისწინებდეს წიგნზე მუშაობის ხასიათს. საჭიროა იმისი ცოდნაც, თუ რა ხასიათის მასალა სჭირდება მკითხველს, რომელი ტიპისა და სახის გამოცემა, რომელი ქრონოლოგიური ჩარჩოებით, რომელ ენაზე.

ამ საქმეში ბიბლიოგრაფ-ბიბლიოთეკარები იყენებენ კატალოგებს, კარტოთეკებს, სხვადასხვა დამხმარე ბიბლიოგრაფიულ გამოცემებს. პერიოდიკის მასალას — რეცენზიებს, ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვებს და სხვ. წარმატებით გამოიყენება ზოგადი თუ სპეციალური ენციკლოპედიები, ცნობარები, ლექსიკონები.



გარევეული თავისებურებებით ხასიათდება წიგნების
შერჩევა თავისუფალი დაშვების დროს. აქ მკითხველის მიერ უურადღება და დახმარება სჭირდება, რადგანაც გარეულებულია მასთან კონტაქტი, კითხვის მოტივაციაში გარევევა, მისი ინტერესების ანალიზი. მოუხედავად ამისა, თავისუფალი დაშვება პროგრესული ორგანიზაციული ფორმაა, რადგან მკითხველს აჩვევს წიგნზე დამოუკიდებელ მუშაობას, წიგნების შერჩევა ხდება თვალთახედვით და არა აღწერითი მასალის მიხედვით.

მკითხველებთან მუშაობის დროს დიდი ყურადღება ეთმობა ინდივიდუალურ ინფორმაციასა და რეკომენდაციას, ინფორმაცია ძირითადად მიეწოდება ისეთ მკითხველს, რომელიც წ-ვ-ების საშუალებით მეცნიერულ შრომას ეწევა, აგრეთვე სააგიტაციო-საპროპაგანდო საქმეს ემსახურება, იმაღლებს პროფესიული ცოდნის დონეს, რაც შეეხება რეკომენდაციას, უმეტეს შემთხვევაში მას მასობრივ მკითხველთან, მოსწავლე ახალგაზრდობასთან მუშაობის დროს იყენებენ.

მკითხველებთან ინდივიდუალური მუშაობის დროს დიდი ადგილი ეთმობა მკითხველის დახმარებას წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზაციაში. იგი განიხილება, როგორც კითხვის კულტურის აღზრდის მომენტი მისი მიზანია, ხელი შეუწყოს მკითხველს, რათა ღრმად და საფუძვლითად ითვისოს მისთვის საჭირო მასალა, მოხერხებულად მოახდინოს მისი ფიქსაცია, რომ უფრო ნაყოფიერი იყოს წიგნზე მუშაობა.

კითხვის ინდივიდუალური ხელმძღვანელობის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბიბლიოთეკარისა და მკითხველის ურთიერთობას. მათ შორის მკიდრო

კონტაქტი და ურთიერთგაგება განაპირობებს ემაჟურულობას დაც შეიძლება სწორად და ნაყოფიერად წარიჩებულის კითხვა. განსაკუთრებით დიდია ამ შემთხვევაში ბიბლიოთეკარის პასუხისმგებლობა. ინდივიდუალური მუშაობა საბიბლიოთეკო საქმის ყველაზე მეტად პედაგოგიური პროცესია და ცხადია, იყი ბიბლიოთეკარისაგან პედაგოგიურ აღღონა და უნარს, ფსიქოლოგიის საფუძვლიან ცოდნას მოითხოვს.

ინდივიდუალური კითხვის ხელმძღვანელობა, ისევე, როგორც თითქმის ყველა სხვა სამუშაო, გეგმიურია. მართალია, სხვა პროცესებთან შედარებით, ინდივიდუალური მუშაობის დაგეგმვა რთულია, მაგრამ ეს არ გვათავისუფლებს დეგმიური მუშაობისაგან. პირიქით, აიძულებს ბიბლიოთეკარს, წინაპირობით მკითხველებთან შესახვედრად. ბიბლიოთეკარის მზადება წიგნის გაცემისათვის რაიმე შემთხვევითი ან ერთდროული პროცესი კი არ არის, არამედ განიხილება, როგორც ყოველდღიური სავალდებულო შრომითი საქმიანობა.

ბიბლიოთეკარის მზადება წიგნის გასაცემად ძირითადად 3 მომენტს შეიცავს: 1) ბიბლიოთეკარის მუშაობა თავის თავზე ანუ თვითმმამზადება. 2) ტექნიკური პირობების მომზადება, 3) საჭირო მასალის შერჩევა-მომზადება.

პირველი მომენტი გულისხმობს იმას, რომ ბიბლიოთეკარი ყოველდღიურად უნდა იმაღლებდეს ცოდნის დონეს, ეცნობოდეს პერიოდიკას, ახალ ლიტერატურას, მეთოდურ მასალას. მეორე მომენტი ითვალისწინებს სამუშაო პირობების სრულყოფა-მოწესრიგებას. სამუშაო ადგილის მოწყობა-მომზადებას,

დოკუმენტების წესრიგში მოყვანას, სტატისტიკური მონაცემების დაანგარიშებას, გეგმის მაჩვენებლების შესტრუქტურირებას, ანგარიშების შედგენას და ა. შ. რაც შეეხება მასალის მომზადებას, ამ შემთხვევაში ბიბლიოთეკარი გადასინჯავს საპროპაგანდოდ გადაწყობილ ლიტერატურას, გასაცემად გამოჰყოფს საერთო ფონდიდან ოპერატორს ლიტერატურას, გამზადებს წინასწარ მოცემულ დაკვათებს, დამხმარე მასალას, მოხაზავს საუბრის გეგმას, ვადასინჯავს კითხვის თემატურ გეგმებს და ა. შ.

ინდივიდუალური კითხვის ხელმძღვანელობის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბიბლიოთეკარის კვალიფიკაციას, მის პროფესიონალიზმს. ასევე დიდ როლს თამაშობს ისიც, თუ რამდენად არის დაუფლებული მკითხველი ბიბლიოთეკაში მუშაობის ჩვევებს — როგორ იცის და იცავს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს, რამდენად დისციპლინებულია, როგორ არის დაუფლებული წიგნზე მუშაობას, როგორ ახერხებს კატალოგებისა და სხვა საძიებო საშუალებების გამოყენებას. რამდენადც უფრო კვალიფიცირებულია მკითხველი, იმდენად უფრო გაიოლებულია და ნაყოფიერი მასთან ბიბლიოთეკარის ინდივიდუალური მუშაობა.

მასობრივი კითხვის ხელმძღვანელობა

მასობრივი მუშაობა ბიბლიოთეკაში სამი ძირითადი შიმართულებით წარმოებს: 1) წიგნის პროპაგანდა, 2) კულტურაგანმანათლებლო მუშაობა, 3) საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული ცოდნის პროპაგანდა. ეს შიმართულებანი ერთმანეთს მკვეთრად კი არ ემიჭნებიან, პირიქით, ავსებენ. მათი დამახასიათებელი თავისებურება ისაა. რომ



პირულშპირ თუ არაპირდაპირ, ყოველთვის წევნის პრო-
პაგანიზას ისახავენ ძირითად მიზნად.

საბიბლიოთეკო მასობრივი მუშაობა უმთავრესად რა-
მე ღონისძიების სახით ხორციელდება. მისი საშუალე-
ბით ბიბლიოთეკა ერთდოროულად ემსახურება როვორც
ჰქითხველთა ცალკეულ პატარა ჯგუფს, ისე კოლექტივს
თუ მასას — მთელ მკითხველ აუდიტორიას.

მასობრივი მუშაობა სამი ეტაპისაგან შედგება: მომ-
წადება, ჩატარება, შეჯამება

საბიბლიოთეკო მასობრივი მეშაობის ძირითად ლერძს
წიგნის პროპაგანდა წარმოადგენს. მისი მთავარი დანიშ-
ნულება ის არის, რომ იხფორმაციისა თუ რეკამენდაცი-
ის მეთოდთა გამოყენებით ხელი შეუწყოს ხალხში ლი-
ტერატურის ფართოდ გავრცელებას. მაგრამ მარტო გავ-
რცელება როდია მისი ამოცანა, ორგონულ რეგალითად, უს-
რეკლამის შემთხვევაში ხდება. პროპაგანდა რეკ-
ლამისაგან იმით განსხვავდება, რომ ეს უწყობს
წიგნებს ან ჟირტო გავრცელებას, არამედ მათთვის შე-
საფერისი დორესატის პოვნასაც, ეხმარება მკითხველს სა-
ჭირო წიგნის მოძებნაში, მის შესწავლაში, მასზე ნაყო-
ფიერად მუშაობაში.

საბიბლიოთეკო პროპაგანდა მრავალმხრივი უნდა
რყოს. არ შეიძლება მისი შემოფარგვლა ერთი რომელი-
მე დარწით. მან ანგარიში უნდა გაუწიოს სადღეისო
ცოვრებისეულ მოთხოვნებს, შეესაბამებოდეს მკით-
ხველთა ინტერესებს. ამ დროს განსაკუთრებული გულის-
ყურით უნდა მოვეკიდოთ საპროპაგანდო მასალის შერ-
ჩევას, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ამ მა-
სალის მიწოდების საქმესაც — პროპაგანდის ხელოვ-
ნებას.



საპროპაგანდოდ შეიტჩევა ისეთი ლიტერატურული, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, აქტუალურია, ზაღარი, მეცნიერული თვალსაზრისით — ჰეშმარიტი, ლიტერატურული თვალსაზრისით — მაღალმხატვრული. მას უნდა გააჩნდეს შემეცნებითი ღირებულება, ახასიათებდეს მაღალი ესთეტიზმი, სხვა წიგნებისაგან გამოიჩინდეს თავისი ღირსებებითა და იდეურობით.

პროპაგანდის ხელოვნების სრულყოფისათვის აუკრებელია გავითვალისწინოთ როგორც ზოგადი, ისე სოციალური ფსიქოლოგიის კანონზომიერებანი, დავეთულოთ პროპაგანდის ფსიქოლოგიას¹.

ამ დარგის ნორმები და კანონები ჯერჯერობით რულყოფილია ჩამოყალიბებული არ არის, მაგრამ ზოგი რამ წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ პროპაგანდის ეფექტის გაძლიერებისათვის. განსაკუთრებით საჭულისხმოა ამ შემთხვევაში ფსიქოლოგიური, ფიზიკური და ინტელექტუალური გარემოს ორგანიზაცია, ემოციების, პროპაგანდისტისა და მსმენელს შორის არსებული დისტანციის, პროპაგანდისტის ზეგავლენის უნარის ვაძლიერებისა და სხვა მსგავსი საკითხების მეცნიერული კვლევა-შესწავლა, საჭირო რეკომენდაციების შემუშავება და მათი დანერგვა პრაქტიკაში.

ბიბლიოთეკაში ლიტერატურის პროპაგანდა წარმოებს როგორც პასიურიად, ისე აქტიურად. პასიური პროპაგანდა არ გულისხმობს რაიმე სისტემას, არ გეგმაზომიერ, წინასწარგანზრახულ ზემოქმედებას მკითხ-

¹ დაწვრილებით ახილეთ: შ. ა. ნადირავილი. Психология пропаганды. Тб., 1978.

ველზე. იგი თავისთავად, მკითხველთან ყოველდღიურად, საქმიანი შეხვედრების დროს წარმოებს, ხოლო ^{აუტო} რი პროპაგანდა გულისხმობს დაგეგმილი, წინასწარ შემუშავებული ხერხებისა და მეთოდების გამოყენებას, განსაკუთრებული ფორმებით მუშაობას წიგნის პოპულარიზაციისა და გავრცელებისათვის.

რაც შეეხება მასობრივი მუშაობის მეორე მიმართულებას — კულტმასობრივ საქმიანობას, იგი ძალიან ახლოს დგას საკლუბო ღონისძიებებთან. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მკითხველს გონივრულ დასვენებაში, ესთეტიკური მოთხოვნილებებისა და კულტურული ინტერესების დაკმაყოფილებაში. ყოველივე ამასთან ერთად, იგი წიგნის გავრცელების ამოცანებთანაც არის დიკავშირებული. შეხვედრები მწერლებთან, გამოჩენილ ადამიანებთან, საზოგადო მოღვაწეებთან, საიუბილეო, კითხვა-პისუხისა და თემატური საღამოები, ზეპირი ეურნალები, ლექცია-მოხსენებები, ექსკურსიები — ჩვენი მასობრივი ბიბლიოთეკებისათვის სრულიადაც არ არის უცხო. სპეციფიკური აქ ის არის, რომ ამ საქმიანობას ბიბლიოთეკა უეჭველად უკავშირებს წიგნის პროპაგანდას.

მესამე მიმართულება — საბიბლიოთეკო-ბიბლიოკრატიული ცოდნის პროპაგანდა — ხელს უწყობს ბიბლიოთეკაში მკითხველთა მიზიდვას, მათთვის საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული შრომითი პროცესების გაცნობას. ამ მიზნით ბიბლიოთეკუში ცდილობენ, რამდენადც შეიძლება, პოპულარული გახადონ თავიანთი საქმიანობა, დაანახონ მკითხველს. რა წარმატებას აღწევს ბიბლიოთეკის კოლექტივი, რა ღირსებებით გამოიჩიე-

ვა, რა დახმარება შეუძლია გაუწიოს მომხმარევების
ამასთან, ბიბლიოთეკა თავის მკითხველ აუდიტორია
აცენბს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს, ეხმარება
კატალოგებით, კარტოთეკებითა და სხვადასხვა საძიებ-
ლებით სარგებლობისათვის საჭირო ცოდნის შეძენაში.
ამ საქმეში ბიბლიოთეკა იყენებს ადგილობრივ პრესას,
რადიოს, ბეჭდავს გზამკვლევებს, ცნობარებს, ბუკლე-
ტებს, პროშურებს. განსაკუთრებით ფართოდ გამოიყე-
ნება ინსტრუქციულ-მეთოდიური პლაკატები: „როგორ
ვისარგებლოთ სისტემატური კატალოგით“, „როგორ
ვისარგებლოთ ანბანური კატალოგით“, „ანბანურ-საგ-
ნობრივი საძიებელი და მისი გამოყენება“, „დამხმარე
ბიბლიოგრაფიული აპარატი“ და სხვ.

საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული ცოდნის განა-
ვრცელებლად ასევე წარმატებით შეიძლება გამოვიყე-
ნოთ ზეპირი ღონისძიებებიც: ლექცია-მოხსენებები, სა-
ბიბლიოთეკო გაფეთილები, სემინარები, პრაქტიკულები.

საბიბლიოთეკო მასობრივი ღონისძიებები შეიძლე-
ბა ჩატარდეს არა მარტო ბიბლიოთეკაში, არამედ კლუ-
ბში, სააქტო დარბაზში, სხვადასხვა საწარმო-დაწესე-
ბულებაში. ოჯგანიზაციებში, სასწავლებულებში. ამ შე-
მთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა და-
წესებულებებთან კავშირსა და კოორდინირებულ საქ-
მიანობას.

მასობრივი მუშაობა წარმოუდვენელია ფართო საწო-
გადოების მონაწილეობის გარეშე. აქ უდიდეს როლს თა-
მაშობს საბიბლიოთეკო აქტივი. რომლის ყველაზე გავ-
რცელებული ფორმაა საბიბლიოთეკო საბჭო. იგი კონ-
ტროლისა და დახმარების ორგანოა. მასში უმეტესობას



მკითხველები წარმოადგენენ. მისი თავმჯდომარეულობის თვეელთაგან არის არჩეული. საბჭოს გააჩნია ქვეყნის გუნდი, პერიოდულად ატარებს სხდომებს, ისმერს ბიბლიოთეკის საჭიროობრივ საკითხებს, ესმარება ბიბლიოთეკას მკითხველთა მოზიდვაში, დისციპლინის განმტკიცებაში დავალიანებათა ლიქვიდაციაში, წრეობრივი მუშაობის ორგანიზაციაში და, რაც მთავარია, მასობრივი მუშაობის მოწყობა-ჩატარებაში. საბიბლიოთეკო საბჭოს შექმნა სავალდებულოა ყველა ბიბლიოთეკისათვის.

აქტივისტთა დიდ ჯგუფს ქმნიან საბიბლიოთეკო წრეების (კლუბების) წევრები. ჩვენს მასობრივ ბიბლიოთეკებში ასეთი წრეები მრავლადაა. უმეტესად ქმნიან მხატვრული შემოქმედების წრეს, პოლიტინფორმატორთა ჯგუფს, ბიბლიოთეკის აქტივს, წიგნით მოგზაურთა კლუბს და ა. შ. სასურველია სხვა წრეებისა და კლუბების შექმნაც, როგორიცაა ინფორმაციის, წიგნის მოყვარულთა, მხარეთმცოდნეობის, პოლიტოლოგთა, ტექნიკის მოყვარულთა, სასოფლო-სამეურნეო, ხელოვნების მოყვარულთა, პოეზიის მოყვარულთა და ა. შ. ასეთი წრეები ხელსაყრელია შეიქმნას სხვადასხვა დაწესებულება-ორგანიზაციებთან, როგორიცაა, მაგალითად, სკოლები, პროფსასწავლებლები და ტექნიკუმები, უმაღლესი სასწავლებლები სკოლისგარეთ აღზრდის დაწესებულებები, კულტურის სახლები, პროფკავშირული ორგანიზაციები და სხვ.

ამგვარი წრეებისა და კლუბების ძირითადი მოვალეობაა, ხელი შეუწყონ ბიბლიოთეკას ამა თუ იმ დარგის ლიტერატურის პროპაგანდასა და გავრცელებაში, დაეხმარონ წრის წევრებს, მიიღონ მათთვის სარნტერესო


დარგში ფართო ინფორმაცია ახალგამოცემული კურსები-
რატურის შესახებ, იზრუნონ ბიბლიოთეკის შექმნების
თვეს მათთვის საინტერესო დარგის წიგნებით.

მასობრივ მუშაობაზე დიდადაა დამოკიდებული
ბიბლიოთეკის საერთო საქმიანობის დონე.

პიგლიოოთებაში ლიტერატურის პროპაგანდის სახეები და ფორმები

ბიბლიოთეკაში წიგნის პროპაგანდა ძირითადად
მასობრივი ღონისძიებების საშუალებებით წარმოებს.
წიგნის მასობრივი პროპაგანდის 3 მეთოდი ასევებობს:
1) თვალსაჩინოებითი, 2) წერილობითი (ბეჭდური) და
3) ზეპირი.

თვალსაჩინოებითი პროპაგანდა გული-
სხმობს წიგნის ჩვენებას ნატურალურად ან ხატოვანი,
მხატვრული ხერხების გამოყენებით. ერთ-ერთ ასეთ
ფორმის წარმოადგენს საბიბლიოთეკო პლაკატი. იგი
იმით განსხვავდება ჩვეულებრივი სააგიტაციო თუ სას-
წავლო-მეთოდიკური პლატატისაგან, რომ მისი ძირითადი
თემატიკის გაშუქება წიგნების ჩვენებით ხდება და წიგ-
ნის პროპაგანდის მიზნებთან არის დაკავშირებული. პლა-
კატი შეიძლება მიეძღვნას ერთ წიგნს ან მწერლის შე-
მოქმედებას, ერთ თემაზე ასევებულ რამდენიმე აქტუა-
ლურ წიგნს და ა. შ.

საბიბლიოთეკო მუშაობაში უპირატესობა ენიჭება
მცირე ზომის პლაკატებს, რომლებსაც სპეციალურ ალ-
ბომებში აკრავენ, მაგიდებზე აწყობენ და წიგნებში დე-
ბენ.

ფორმებიდან
კრიტიკულური

თვალსაჩინოებითი პროპაგანდის ფორმებიდან
ჩვენს ბიბლიოთეკებში ყველაზე მეტად გავრცელებულია ლიტერატურის გამოფენა. შეიძლება გამოვთინოთ როგორც წიგნები, ისე პერიოდული გამოცემები, აუდიოვიზუალური მასალა როგორც ცალ-ცალკე, ისე შერქალად. გამოფენები სხვადასხვა სახისაა: ისინი შეიძლება განვასხვავოთ იმის მიხედვით, თუ შინაარსობრივად როგორი მასალაა მათში თავმოყრილი — უნივერსალური თუ თემატური.

ჩვეულებრივ, გამოფენა წინასწარ დაგეგმილია ბიბლიოთეკის მიერ, მაგრამ შეიძლება მოხდეს ისე, რომ ის გვემის გარეშეც მოვაწყოთ, როცა ამას რაიმე სიტუაცია გვკარნახობს. ამგვარად, ვამოფენა შეიძლება იყოს გეგმიური (ცალენდარული), და გაუთვალისწინებელი (ეპიზოდური). დათვალიერების ორგანიზაციის მხრივ გამოფენა შეიძლება იყოს დახურული (როცა გამოფენა ჩარჩოშია მოთავსებული და წიგნების ხელის ხელება არ შეიძლება) და ლია (როცა მკითხველს საშუალება ეძღვავა გამოფენილ წიგნებს ხელით შეეხოს, დადასინჯოს, გადაათვალიეროს და. ბიბლიოთეკარის ნებართვით, სათანადო გაფორმების შემდეგ, გამოიყენოს აღვილზე ან წაიღოს სახლში სამუშაოდ).

ახლა უკვე გამოფენებს მართავენ არა მარტო სტაციონარულ პირობებში, არამედ ბიბლიოთეკის გარეთაც — საწარმო-დაწესებულებაში, რომელიმე ორზანიზაციისი. ასეთ გამოფენებს გამსვლელი (მოძრავი) გამოფენები ჰქვეია. მათ ხშირად ახლავთ საუბრებიც. რაც აორკეცებს ეფექტს.

თვალსაჩინოებიდან ბიბლიოთეკებში ფრიად გავრ-

ცალებულია ე. წ. მხატვრული სტენდები, რომლებზე
კომპლექსურად იყენებენ თვალსაჩინო საშუალებების
წიგნებს, პლაკატებს, ილუსტრაციებს, სქემებსა და დიაგ-
რამებს, სხვადასხვა აუდიოვიზუალურ საშუალებებს. მა-
სობრივი ბიბლიოთეკები ადგენენ აგრეთვე მხატვრუ-
ლად გაფორმებულ თემატურ ალბომებსაც, რომლებიც
ძირითადად ღირსშესანიშნავ და საიუბილეო თარიღებს
ეძღვნება.

რაც შეიტება წერილობით (ბეჭდურ) პროპა-
განდას, ის გულისხმობს მკითხველის ინფორმირებას
ხელნაწერი ან ნაბეჭდი საშუალებებით, როგორიცაა
კითხვის გეგმა და ბიბლიოგრაფიული სია, ბეჭდური ბა-
რათების თემატური ნაკრები, ბიულეტენები, საგამომცე-
მლო დეგრები, მაღაზიების შეტყობინებები, მატიანეები,
რეცენზიები ეურნალ-გაზეთებიდან, პერიოდიკის ბიბლი-
ოგრაფიული განყოფილებები და ა. შ. ამგვარი მასალა
უამრავია, ოღონდ საჭიროა მათი მიზნობრივად და გეგ-
მიურად მიწოდება მკითხველებისათვის. ამ მიზნით ბიბ-
ლიოთეკის დარბაზებში, ვესტიბიულებში აწყობენ სპე-
ციალურ საინფორმაციო კუთხეს ან მაგიდას, აკეთებენ
დაფებს: „რა წავიკითხოთ“, „საყურადღებო ცენტრალუ-
რი გაზეთების ფურცლებზე“, „საინტერესო იცოდეთ“,
„ახალი გამოცემები“ და ა. შ. მასობრივ ბიბლიოთეკებში
ერთად უყრის თავს გაზეთების ამონაჭრებს, სარეკო-
მენდაციო სიებს, ბეჭდვით ბიბლიოგრაფიულ მიმოხილ-
ვებს, რომლებიც რომელიმე ერთ თემაზე არსებულ მნი-
შვნელოვან ლიტერატურაზე ღვაწვდიან ინფორმაციას.
ასეთი მასალები განსაკუთრებით ხელსაყრელია სხვადას-

ხვა საკითხებზე რეფერატებისა და მოხსენებების დაცვის დროს.

ბიბლიოთეკების პროპაგანდისტულ საქმიანობაში ყველაზე რთულ მეთოდს მაინც წიგნის ზეპირი პრო-პაგან და წარმოადგენს. როგორც წესი, იგი დაკავშირებულია მრავალი ფორმისა და საშუალების კომპლექსურ გამოყენებასთან და ტარდება უმეტესად როგორც მასობრივი ღონისძიება. ზოგ შემთხვევაში ესა თუ ის ფორმა იმდენად ემსვავსება კულტმასობრივ საქმიანობას, რომ იგი ძნელი გასარჩევია ჩვეულებრივი საკლუბო ღონისძიებისაგან. ჩამდენადაც ასეთი ღონისძიებები მასის წინაშე გამოსვლას მოითხოვს, მისი ჩატარებისას განსაკუთრებულ როლს თამაშობს არა მარტო ბიბლიოგრაფიული პროფესიონალიზმი, არამედ ორატორული ხელოვნება, პროპაგანდისტის მასაზე ზემოქმედების უნარი, პედაგოგიური ტაქტი, ფსიქოლოგიურ ნიუანსებში ღრმად წევდომა, მეტყველების მაღალი კულტურა, მასის წინაშე გამოსვლის ჩვევა. ზოგ შემთხვევაში ასეთ ღონისძიებებში ჩატარულია მხატვრული ნაწილიც, რაც თავისებურ სპეციფიურ ცოდნას მოითხოვს მისი ორგანიზატორებისაგან. ყოველივე ამას ემატება ორგანიზებული სირთულეებიც — მონაწილეთა მომზადება, მსმენელთა მოწვევა, დარბაზის მოწესრიგება-გაფორმება და სხვ.

ზეპირი პროპაგანდის ეფექტი გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე თვალსაჩინოებითი და წერილობითი (ჩეჭდური) პროპაგანდისა. მას ხელს უწყობს ემოციების ვაძლიერების საშუალებანი — მხატვრული გამოსვლე-

ბი, ორატორული ოსტატობა, სიტუაციის შესატყვისმა
ფიზიკური გარემოს ორგანიზაცია და სხვ. განსაკუთრისა
ბით დიდი ყურადღება ექცევა ამ უკანასკნელს.

დიდ როლს თამაშობს ის, თუ სად ტარდება ღონის-
ძიება, როგორ ფიზიკურ გარემოში — კლუბში, თეა-
ტრში, საწარმოში, სასწავლებელში, აგრეთვე იმასაც,
თუ ვამ ესწრება მას, როგორია მკითხველთა აუდიტო-
რია; მნიშვნელობა ენიჭება იმასაც, თუ როგორაა მოწ-
ყობილი და გაფორმებული დარბაზი, რა სიახლეებს ხე-
ლავს აქ მკითხველი, რამდენად მოსწონს მას არსებული
პირობები. მაგრამ მთავარ როლს მაინც ის თამაშობს,
თუ ვინ ეწევა პროპაგანდას.

პროპაგანდისტს მოეთხოვება მაღალი პროფესიო-
ნალიზმი, იგი უნდა იყოს პრესტიული პიროვნება, იწ-
ვევდეს მსმენელებში სიმპატიას. ამის გარეშე ღონის-
ძიების ეფექტი დაბალი იქნება.

სხვა სახის პროპაგანდისტულ ფორმებსა და მეთო-
დებთან შედარებით მასობრივ ღონისძიებებს თავისი
ნაკლიერ აქვს: ის ერთჯერადია, მოკლე დროში სრულ-
დება, გარეგნულმა ეფექტმა შეიძლება საქმის ძირითადი
არსი გაამკითლოს და ღონისძიება არ ვამოვიდეს შე-
დეგიანი. შეიძლება მოხდეს ისეც, რომ წიგნის პროპა-
განდის ნაცვლად ერთგვარი კულტმასობრივი ღონისძი-
ება მივიღოთ, რაც, სხვათა შორის, საკმაოდ ხშირად შეი-
ნიშნება: მასობრივი ბიბლიოთეკების საქმიანობაში. ტენ-
დენცია ამებად ისეთია, რომ მასობრივ ბიბლიოთეკებში
სულ უფრო მეტად იჭრება საკლუბო მასობრივი მუშა-
ობის ფორმები. ეს იწვევს პარალელიზმს ბიბლიოთეკისა
და კლუბის საქმიანობაში და უარყოფით გავლენას ახ-

დენს ბიბლიოთეკის საპროპაგანდო მოღვაწეობაშეცვალების საჭიროა განსაკუთრებული ზომიერების დაცვისა და დაგვავიწყდეს ბიბლიოთეკის სპეციფიკა — წიგნის პროპაგანდას დაუქვემდებაროს ყოველგვარი მასობრივი ღონისძიება. არ უნდა გამოვედევნოთ მასობრივ ღონისძიებათა სიმრავლეს. ღონისძიება უნდა იყოს კვალიფიციური. შეეფერებოდეს ბიბლიოთეკის პროფილსა და სპეციფიკას.

ამ მხრივ შედარებით უფრო ხელსაყრელია თვალსაჩინო და წერილობითი (ბეჭდური) საშუალებების გამოყენება. მართალია, ისინი მოკლებულნი არიან ზეპირი ფორმებისათვის დამახასიათებელ ემოციურობას, მაგრამ სანაცვლოდ ხანგრძლივმოქმედნი არიან, მყითხველს საშუალება ეძლევა. განმეორებით მიუბრუნდეს მთ, უფრო ღრმად ჩასწევდეს საქმის არსს, ბეჭითად გაეცნოს მასალას.

პროპაგანდის სახეობათა შორის უპირატესობის ძიება სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ პროპაგანდის რომელმე ერთი სახე დავიძევიდროთ. პირიქით, ყველა სახე და ფორმა უნდა გამოვიყენოთ, მაგრამ მიზანშეწინილად, ურთიერთშეხამებით.

ბიბლიოთეკაში ზეპირი პროპაგანდის ყველაზე ქმედით ფორმას ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა წარმოადგენს. ეს ფორმა, როგორც ელემენტი, თითქმის ყველა სხვა ფორმაში შედის, ამ ფორმათა შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. იგი გამოიყენება როგორც რეკომენდაციის, ისე ინფორმაციისათვის. ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა შეიძლება იყოს უნივერსალურიცა და თემატურიც. უნივერსალურია, მაგალითად, ახლად მიღებული



წიგნების ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვათა უმრავლესობა, მაგრამ უფრო გავრცელებულია თემატური პირდაპირული გრაფიული მიმოხილვები (როცა ერთი რომელიმე აქტუალური თემის ირგვლივ არსებულ ლიტერატურას მიმოხილავენ).

საერთოდ, ყველა მასობრივი ღინისძიება შეიძლება ითვალისწინებდეს როგორც ბიბლიოთეკის მთელ აუდიტორიას, ისე მის ნაწილს, რომელიმე ერთ ჯგუფს. ასეთი ეითარება გვაქვს ბიბლიოგრაფიული მიმოხილვის დროსაც. ის შეიძლება გათვალისწინებული იყოს როგორც ბიბლიოთეკის მთელი აუდიტორიისათვის, ისე მისი ერთი პატარა ჯგუფისთვისაც, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით.

ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა არ წარმოადგენს ლიტერატურის, წიგნებისა თუ პერიოდული მასალის შესახებ მეცნიერულ-კრიტიკულ ანალიზს; აქ არც დისკუსია იმართება, როგორც, მაგალითად, გარჩევა-განხილვის დროს. ჩვეულებრივ, მკითხველებს აცნობენ ლიტერატურას ერთ გარსებულ თემაზე მოკლე დახსასიათების საშუალებით, ამ დროს მკითხველებს აწვდიან ცნობებს ავტორებზე, წიგნის შექმნისა და გავრცელების ისტორიაზე, მოკლედ გააცნობენ მის შინაარსს, აღნიშნავენ მის ძირითად ღირსებებს. განსაზღვრავენ მის მკითხველურ დანიშნულებას — ვისტვისაა იგი განკუთვნილი, რა სარგებლობა შეუძლია მოუტანოს მკითხველს. ამგვარი თხრობა წიგნზე ოთხი ელემენტისაგან შედგება:

1. შესავალი (წიგნის ბიბლიოგრაფიული დახსასიათება, ცნობები ავტორის შესახებ),
2. შინაარსის ფასენა (მოკლე ანოტაციით ან ფაბულის გადმოცემით),
3. კრიტიკული

ანალიზი (გამოცემის მოკლე შეფასება, მისი ღირსება-ნა-
კლოვანებების აღნიშვნა), 4. დასკვნა (იმის განსახილება,
თუ ვისთვის არის განკუთვნილი წიგნი და რა სარგებლო-
ბის მოტანა შეუძლია მას; მკითხველისათვის მეთოდური
მითითებების მიცემა, როგორ იმუშაოს, რომ შედეგი,
რაც წეიძლება უფრო ნაყოფიერი იყოს, ამ წიგნის რე-
კომენდება და ა. შ.).

სავალდებულო არ არის ამ ელემენტების გამოყე-
ნება ზემოთმოყვანილი თანმიმდევრობით. მაგალითად,
შეიძლება ჯერ ვილაპარაკოთ თვით წიგნზე, მის შინაარს-
ზე, ღირსება-ნაკლოვანებებზე და დასასრულ ვთქვათ,
როგორია ამ წიგნის დასახელება, ვინ არის მისი ავტორი
და ა. შ. ეს დამოკიდებულია პროპაგანდისტის ოსტატო-
ბაზე, მის ტაქტიკურ ჩანაფიქრზე.

წიგნის ზეპირი პროპაგანდის თავისებურ ფორმას
წარმოადგენს ხმამაღალი კითხვა. მას დიდი მნიშვნელო-
ბა ჰქონდა იმ დროს, როცა ბიბლიოთეკების სიმცირე და
უწიგნურობა გვიშლიდა ხელს ქვეყნის განვითარების საქ-
მეში. ამეამად ეს ფორმა მხოლოდ საბავშვო ბიბლიოთე-
კებს შემორჩა და მასობრივი ბიბლიოთეკები იშვიათად
იყენებენ, რადგანაც მიაჩნიათ, რომ მან უკვე ამოწურა
თავისი შესაძლებლობანი, რაც სწორ არ არის, ხმამაღალ
კითხვას ხშირად მიმართავს რადიო, ტელევიზია, გამო-
დის ფირფიტები.

ცხადია, თანამედროვე პირობებში ხმამაღალი კით-
ხვა იმგვარი სახით და იმგვარი დანიშნულებით, როგო-
რიც ადრე ჰქონდა, ჩვენთვის შეუფერებელია, მაგრამ
მისი გამოყენება მოდერნიზებული სახით სავსებით შე-
სძლებელი და სასარგებლოა. ამჟამადაც წარმატებით შე-

იძლება მოწყოს დეკლამაციური კითხვები საუბრუნველო
თანხლებით, დისკუსიით, აზრთა ურთიერთგაცვლით და სხვ.

საერთოდ, ყოველ ღონისძიებას შემოქმედებითად
უნდა ვიყენებდეთ, ვუხამებდეთ მას ადგილობრივ პირო-
ბებს, ვახდენდეთ მის ახლებურ მოდიფიკაციას, ნოვა-
ტორულად და შემოქმედებითად ვეკიდებოდეთ.

წიგნის ზეპირი პროპაგანდის გამორჩეული საშუა-
ლებაა გარჩევა-განხილვები, რომლებიც ბიბლიოთეკაში
სხვადასხვა ფორმით ტარდება: დისკუსიები, დისპუტები
და სხვა, მაგრამ მათ შორის ყველაზე გავრცელებული
ფორმაა მკითხველთა კონფერენცია.

მკითხველთა კონფერენცია ორგვარი სახისაა, თემა-
ტური და საწარმოო. საწარმოო კონფერენცია მიზნად
ისახავს საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული ცოდნის
პროპაგანდას, ხოლო თემატური — ლიტერატურის
პროპაგანდას. პირველ შემთხვევაში ბიბლიოთეკა თვის
მკითხველებთან ერთად მსჯელობს ბიბლიოთეკის საჭირ-
ბოროტო საკითხებზე, იხილავს სამუშაო გეგმება და ან-
გრაციელება, იტენდება სამიზანოთეკო საბჭოს და ა. შ. მეო-
რე შემთხვევაში ხდება ერთ რომელიმე თემაზე რამდე-
ნიმე წიგნის განხილვა.

მკითხველთა კონფერენცია ისეთი ღონისძიებაა,
რომელზედაც ხდება ფართო აუდიტორიის თავშეყრა.
მათ წინაშე გამოდის მომხსენებელი, რომელიც აკეთებს
ძირითად მოხსენებას მოცემულ თემაზე არსებული ლი-
ტერატურის შესახებ, ან რომელიმე მწერლის შემოქმე-
დებაზე. ამის შემდეგ გამოდიან მკითხველები და გამოთ-
ქვამენ თავიანთ აზრსა თუ შეხედულებებს მიმოხილული
წიგნების შესახებ.

მკითხველთა კონფერენცია ერთგვარ საზეიმო იქნა-
ოტარებს. აქ მიზანშეწონილი არ არის მკითხველთა შე-
რის მწვავე დავა და კამათი, როგორც დისკუსიებისა
და დისპუტების დროს. ასეთ ღონისძიებებს ხშირად ახ-
ლავს საზეიმო ნაწილიც. იგი შეიძლება უშუალოდ სამუ--
შაო ნაწილში იყოს ჩართული ან ცალკე ჩატარდეს მის
შემდეგ.

სასურველია, კონფერენციას დაესწრონ წიგნების
აცტორები, გამომცემლები, სტამბის მუშაკები, საერთოდ
ყველანი, ვისაც წიგნის წარმოებასა და გავრცელებას-
თან აქვს საქმე, რაც ხელს შეუწყობს მკითხველთა შენი-
შვნებისა და სურვილების ოპერატორულად გათვალისწი-
ნებას.

ამ ბოლო ხანებში საჭმაოდ გავრცელდა კ. წ.
დაუსწრებელი კონფერენციები, რომლებიც იმარ-
თება პიბლიოთეკებისა და ადგილობრივი გაზეთების
ინიციატივით. მათი უპირატესობა იმაშია, რომ
მათში მონაწილეობის მიღება შეუძლია მკითხველთა დიდ
რაოდენობას. ისინი თავიანთი შინაარსით ჩვეულებრივ
კონფერენციას წარმოადგენენ, მაგრამ პირადი შეხვედ-
რების ნაცვლად აქ გამოსვლა გაზეთის მეშვეობით ხდე-
ბა. მკითხველებს წინადადება ეძლევათ მონაწილეობა
მიღლონ წიგნის ვანხილვაში — გაზეთს გაუგზავნონ თა-
ვიანთი შეხედულებები და მოსაზრებანი. ბოლოს მათ
გამოსელებს შეაჯამებს რომელიმე კომპეტენტური სპე-
ციალისტი.

საინტერესო ფორმას წარმოადგენს წიგნის საღამო-
ები: მეცნიერული წიგნის საღამო, საცნობარო, საბავ-
შვო, სათავგადასავლო წიგნის საღამო და სხვ. ეს საღა-

მოები ერთგვარად ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვებს წიგნის შემთხვევაში მკითხველული იყოს აქტიურად გამოღიან და თავიანთ მოსაზრებებს გადმოგვცემენ წიგნების შესახებ.

წიგნის პროპაგანდის დროს მეტად საქმიანად შეიძლება გამოვიყენოთ აუდიოვიზუალური საშუალებები: ხმის ჩაწერა და გადაცემა, კინოჩვენება, ფონომასალები და სხვ. ასევე შეიძლება ვისარგებლოთ რადიოსა და ტელევიზიის მომსახურებით. რადიო და ტელევიზია თავიანთ პროგრამებში წიგნს ძალიან დიდ აღვილს უთმობენ როვორც ბიბლიოგრაფიული მიმოხილვების სახით, ასევე სხვა ღონისძიებებითაც: შეხვედრები მწერლებთან, მხატვრული კითხვა, ინსცენირებები, განხილვა-გარჩევები, დისპუტები, ინტერვიუ და მრავალი სხვა. მეტად საყურადღებოა ამ მხრივ საკავშირო ტელევიზიაში წიგნის მოყვარულთა საზოგადოების მიერ ორგანიზებული სხვადასხვაგვარი გადაცემები ვიქტორინებისა და შემოქმედებით შეჯიბრებათა სახით, რომლებიც ჩვენში ახალგაზრდობისთვის არის გათვალისწინებული. განსაკუთრებით მოსახერხებელია ბიბლიოთეკისათვის ვიდეოჩანაწერების წარმოება, რაც საშუალებას მისცემს ნებისმიერ დროს გამოიყენო ტელეგადაცემა მასობრივი მუშაობისათვის.

ამ ბოლო დროს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც წიგნის მოყვარულთა საზოგადოება შეიქმნა, რომელმაც ბიძგი მისცა წიგნის პროპაგანდის გაფართოებასა და განვითარებას, ჩვენში საკმაოდ გავრცელდა ე. წ. ლიტერატურის კომპლექსური პროპაგანდა. ეს საქმიანობა გულისხმობს ღონისძიებათა მთელი კომპლექსების შექმნას,



რომლებშიც მონაწილეობენ სხვადასხვა დაწესებულებები: ბიბლიოთეკები, წიგნის მოყვარულთა საზოგადოება, საზოგადოება „ცოდნა“, გამომცემლობები, რედაქციები, წიგნის სავაჭრო ორგანიზაციები, სასწავლო დაწესებულებები, კლუბები და კულტურის სახლები, კინოთეატრები, თეატრები, სკოლისგარეშე ბავშვთა ორგანიზაციები და წესებულებები, პროფესიონული ორგანიზაციები და სხვ. ეს დაწესებულებები, ერთმანეთთან შეთანხმებით, სშირად აწყობენ დიდ კომპლექსურ ღონისძიებებს, როგორიცაა, მაგალითად, მასობრივი კამპანიები — წიგნის დღე, წიგნის კვირეული, წიგნის ჭრთვიური, წიგნის ზეიმები, სპეციალისტის დღეები, ღია კარის დღე და ა. შ.

საბიბლიოთეკო მასობრივ ღონისძიებებში განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებენ საბიბლიოთეკო კლუბები (წრეები), ისინი საბიბლიოთეკო საგველა და აქტივისტებთან ერთად მეტად საქმიან დახმარებას უწევენ ბიბლიოთეკებს ღონისძიებათა კვალიფიციურად და ორგანიზებულად წარმართვაში.

საერთოდ, მასობრივი მუშაობა, ისევე, როგორც ბიბლიოთეკის მთელი საქმიანობა, უნდა წარმოებდეს სხვადასხვა ორგანიზაცია-დაწესებულებებთან მჭიდრო კონტაქტში.

ინფორმაციული მუშაობა და საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურება ბიბლიოთეკაში ორი მიმართულებით წარმოებს: პირველი, ეს არის წმინდა ბიბლიო-

გრაფიული პროცესები — ილიერა-აღნუსხვა, მათთვის
ბიბლიოგრაფიება, ძიება-მიგნება ე. წ. „ბიბლიოგრა-
ფიული ევრისტიკა“, ბიბლიოგრაფიული აპარატის შე-
ქმნა, სარეკომენდაციო თუ საინფორმაციო მასალის მომ-
ზადება და სხვ. მეორე, ბიბლიოგრაფიული პროდუქცი-
ის რეალიზაცია, მისი მიწოდება მკითხველი აუდიტორი-
სათვის, მკითხველის ინფორმირება და რეკომენდება,
მკითხველისათვის ბიბლიოგრაფიული დახმარების გაწე-
ვა ლიტერატურის გამოვლენასა და შერჩევაში, საჭირო
ბიბლიოგრაფიული ცნობების მიცემა და ა. შ.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა
და განვითარების საქმეში გარკვეულ როლს თამაშობს
ის, თუ როგორ არის დაყენებული ჩვენს ბიბლიოთე-
კებში ინფორმაციული მუშაობა. მიუხედავად იმისა, რომ
არსებობს ინფორმაციის სხვადასხვა ცენტრები,
სრულებითაც არ მცირდება ბიბლიოთეკების როლი ინ-
ფორმაციის საქმეში. ყველა, შედარებით მოზრდილი თუ
დიდი ბიბლიოთეკა დღეს ინფორმაციის საერთო სისტე-
მის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

ბიბლიოთეკის ინფორმაციულ საქმიანობაში განსა-
კუთრებულ როლს ასრულებს ე. წ. ინფორმაციის შერ-
ჩევითი გავრცელების სისტემა — იგი ყველაზე ხელსა-
ყრელია მასების უმეტესი ნაწილისათვის, რაღაც ყვე-
ლაზე უფრო აქტუალური ლიტერატურის ინფორმაციას
იძლევა.

საინფორმაციო ცენტრები სისტემატურად გამოსცე-
მენ საინფორმაციო ლიტერატურას, რომელშიც, ორიენ-
ტირება ძალიან რთული იქნებოდა, რომ არ არსებოდეს
ინფორმაციულ გამოცემათა სისტემა. ეს სისტემა მრა-



ვალი სახის საინფორმაციო გამოცემას აერთიანებული მუზეუმი
გორიცაა, მაგალითად, ბიბლიოგრაფიული გამოცემები,
რეფერატული გამოცემები და მიმოხილვითი გამოცე-
მები.

ავრეთვე საშუალებას იძლევა, შეუფერხებლად მი-
ვიღოთ ყოველგვარი ინფორმაცია სხვადასხვა დარგში
გამოცემული წიგნების შესახებ.

ბიბლიოთეკები, განსაკუთრებით სამეცნიერო ტიპისა-
ნი, წარმატებით იყენებენ ამ სისტემებს და შეუფერხებ-
ლად აშვილიან მკითხველს საჭირო ინფორმაციას, თუმცა
ისიც უნდა ითქვას, რომ საინფორმაციო დაწესებულე-
ბებსა და ბიბლიოთეკებს შორის ჯერ კიდევ არ არის ისე-
თი მჟიდრო კონტაქტი, როგორც ეს ერთიან საინფორ-
მაციო ქსელში შემავალ დაწესებულებებს მოეთხოვება.
ეს იმით არის გამოწვეული, რომ ჩვენი ბიბლიოთეკები
თანამედროვე ეტაპზე ვერ მუშაობენ იმგვარად, რომ სავ-
სებით აკმაყოფილებდნენ ინფორმაციული მუშაობის
სადღეისო მოთხოვნებს. ეს იწვევს ერთგვარ გათიშულო-
ბას ინფორმაციულ დაწესებულებებსა და ბიბლიოთე-
კებს შორის.

ჩვენი ბიბლიოთეკები შედარებით უფრო ეფექტუ-
რად საცნობო-ბიბლიოგრაფიულ მომსახურებას ეწევიან,
რაც ნაწილობრივ, ცხადია, ინფორმაციულ საქმიანობა-
საც ითვალისწინებს. იგი, უმეტესად, ბიბლიოგრაფიულ
დახმარებას გლობუსებობს და ძირითადად ინდივიდუალუ-
რი მომსახურების წესით სრულდება.

· საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის ორგანიზა-
ცია ბიბლიოთეკაში საკმაოდ რთული საქმეა. ამა თუ ამ

ტიპისა და მოცულობის ბიბლიოთეკაში იგი სავსებით სხვაგვარადა მოწესრიგებული: ზოგან სპეციალური გან-
ყოფილება პრესებობს, ზოგან — სექტორი, ზოგან მხო-
ლოდ შტატია გათვალისწინებული ამისათვის; მცირე
ბიბლიოთეკებში საჭიროების მიხედვით თვით ბიბლიო-
თეკარები ასრულებენ ამ საქმიანობას. საერთოდ რა
მცირეც არ უნდა იყოს ბიბლიოთეკა, იგი ვალდებულია,
საცნობო-ბიბლიოგრაფიული დახმარება გაუწიოს მკით-
ხველს.

საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის ორგანიზა-
ციის ღროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სა-
თანადო აპარატის მოწესრიგებას. საცნობო-ბიბლიოგრა-
ფიული აპარატი ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება:
წიგნაზი ფონდისაგან და საძიებო საშუალებებისაგან. წი-
გნად ფონდში ძირითადად თავმოყრილია საცნობარო ლი-
ტერატურა — ენციკლოპედიები, ლექსიკონები, კითხვა-
რები, თემატური კრებულები, გზამკვლევები, ბიბლიო-
გრაფიული ბიულეტენები, კითხვის გეგმები, საინფორ-
მაციონ-სარეკომენდაციო სიები, სხვადასხვა სახის მატი-
ანები და სხვა. რაც შეეხება აპარატის მეორე ნაწილს,
ეს ძირითადად წარმოადგენს კატალოგებსა და სხვადა-
სხვა სახის კართოტეკებს. აპარატში განსაკუთრებულ ად-
გილს იჭერს სამხარეო და მხარეთმცოდნეობითი მასალა
როგორც წიგნების, ისე კართოტეკების სახით. აპარატის
შემაჟგენლობაში შედის აგრეთვე აღრე გაცემული ბიბ-
ლიოგრაფიული ცნობებიც და მათი აღმნესხველი კარ-
ტოთეკაც. რაც გვიადვილებს მუშაობას იმ შემთხვევაში,
ოუ მომავალში მოვიხდა ანალოგიური ცნობის გაცემა.

საცნობო-ბიბლიოგრაფიული საქმიანობის უმთავ-

რესი ამოცანაა, დააკმაყოფილოს მკითხველები-მატენგების საჭირო ცნობებით. ბიბლიოგრაფიული ცნობები, რომელსაც ბიბლიოთეკა გასცემს, საკმაოდ მრავალგვარია, რაც გამოწვეულია მკითხველთა თავისებურებებით. ცნობის ხასიათი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა აინტერესებს მკითხველს. აქედან გამომდინარე, ცნობებს სხვადასხვა !სახეობებად აჯგუფებენ. ამ სახეობათა ჩამოყალიბება და განსაზღვრა სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარი იყო. არის სხვადასხვა სქემა, მაგრამ ამეამად მიღებულია, რომ ბიბლიოგრაფიული ცნობები შეიძლება იყოს შემდეგი სახის: თემატური, სამისამართო-ბიბლიოგრაფიული, დამაზუსტებელი, ფაქტობრივი. დიდ ბიბლიოთეკებში შეიძლება გამოყოფ კიდევ ერთი სახეობა, რომელსაც ანალიტიკურ ცნობას უწოდებენ.

ეს ცნობები ორგვარი წესით გაიცემა: ზეპირად და წერილობით. ცნობის გაცემის წესი დამოკიდებულია კონკრეტულ მომენტზე, მკითხველის მოთხოვნაზე, მასალის მოცულობაზე, დავალების შესრულების სირთულეზე და ა. შ.

ცნობის შედგენისას საჭირო, კარგად გიცნობდეთ მკითხველს, ვიცოდეთ მისი თავისებურებანი წიგნზე ჟურნალებს ხასიათი, რა სახის ლიტერატურა სჭირდება, რომელ ეწება, რომელი პერიოდისა შუა ა. შ.

საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობა ბიბლიოთეკაში განიხილება როგორც კითხვის ხელმძღვანელობის საშუალება. ამდენად, ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც ინფორმაციის დროს, გარკვეული ყურადღება ეთმობა იდეურ მხარეს. ცნობის შესრულება არ წარმოადგენს უბრალო მექანიკურ პროცესს. მასთან წიგნის პროცესზე

დის ამოცანებიცაა დაკავშირებული, რაც კიდევ ეჭვის განვითარება
დღი მნიშვნელობას ანიჭებს ამ სამუშაოს.



ყველა ბიბლიოთეკა მოვალეა, პროპაგანდის უწევ-
დეს საცნობო-ბიბლიოგრაფიულ საქმიანობას, საქმის კუ-
რსები აყენებდეს მკითხველს და ამასთან, თანამედროვე
მოთხოვნათა საფუძველზე ახდენდეს აღნიშნული საქმის
განვითარება-სრულყოფას.¹

აგითხველებთან მუშაობის ორგანიზაცია

მკითხველებთან მუშაობა წარმოებს როგორც უშუ-
ალოდ ბიბლიოთეკაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც, არა-
სტაციონარულ პირობებში, ე. წ. მოძრავი ფორმებით.
ბიბლიოთეკაში მკითხველებს ემსახურება სააბონემენტო
განყოფილება, რომლის მეშვეობითაც მკითხველებს გა-
მოაქვთ წიგნები ბიბლიოთეკიდან და სამკითხველო დარ-
ბაზი, სადაც ხდება წიგნების გაცემა აღგილზე სარგებ-
ლობისათვის. ცენტრალურ სარაიონო, საოლქო, ჩესპუბ-
ლიკურ ბიბლიოთეკებში მკითხველებს ემსახურებიან აგ-
რეთვე ბიბლიოგრაფიული განყოფილებებიც, რომელთა
დანიშნულებაა უზრუნველყონ მკითხველები ბიბლიო-
გრაფიული მომსახურებით. ამგვარად, ბიბლიოთეკაში
სულ 3 ქვეგანაყოფი შეიძლება იყოს, რომელთაც მკით-
ხველებთან უშუალო შეხვედრა და მათი მომსახურება
ევალებათ.

უფრო დაწვრილებით იხილეთ: ა. ლორია. მკითხველებთან
მუშაობის მეთოდები და მომსახურების ორგანიზაცია — თბ., 1985.

ბიბლიოთეკის აბონემენტი სამი ტიპისაა: სტაციონარული, საბილიოთეკათშორისო (ბშა) და დაუსწყლული

სტაციონარული აბონემენტი ძირითადია ბიბლიოთეკაში. სწორედ მისი მეშვეობით ხდება წიგნების გაცემა მკითხველებზე ბიბლიოთეკიდან მათი გატანის უფლებით. წიგნების გაცემის ორგანიზების მიხედვით ვარჩევთ სტაციონარული აბონემენტის ოთხ ძირითად სახეს: 1. საერთო აბონემენტი, როცა ბიბლიოთეკარი აბონემენტზე თვითონ ატარებს ყველა პროცესს და ყველა მკითხველს თანაბრად ემსახურება; 2. ფუნქციონალური აბონემენტი, როცა აბონემენტზე სამუშაო ფუნქციები განაწილებულია ბიბლიოთეკარებს შორის; 3. ჯგუფური აბონემენტი, როცა წიგნები გაიცემა წინასწარ შედგენილ მკითხველთა ჯგუფებზე ცალ-ცალკე სხვადასხვა ბიბლიოთეკარების მიერ; 4. დარგობრივი აბონემენტი. რომელიც ისეა ორგანიზებული, რომ წიგნების გაცემა ხდება სხვადასხვა ბიბლიოთეკარებისაგან ცალკეული დარგის მიხედვით.

ცხადია, ამა თუ იმ სახის აბონემენტის ორგანიზება, დამოკიდებულია თვით ბიბლიოთეკაზე. უპირველეს ყოვლისა, აქ ვათვალისწინებული უნდა იყოს ამ ბიბლიოთეკის პირობები — რა მოცულობისაა, რამდენი საშტარო ერთეული აქვს, რა ფართობი გააჩნია, რამდენი მკითხველი ჰყავს, რამდენად ინტენსიურია აბონემენტზე მკითხველთა მოსვლა, როგორია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ა. შ.

ჩვენში ყველაზე მეტად გავრცელებულია საერთო აბონემენტი, რაღანაც ივი განსაკუთრებით მო-



სახერხებელია იმ ბიბლიოთეკებისათვის, სადაც შემდგენლობა აქტურად წარმოებს კითხვის ხელმძღვანელობა.

ყველა ეს აბონემენტი შეიძლება ტრადიციული ფორმით იყოს მოწყობილი, მაგრამ შეიძლება იგი ფონდთან თავისუფალი დაშვების წესითაც მუშაობდეს.

ფონდთან თავისუფალი დაშვება, ანუ ლია თაროს აბონემენტი. პროგრესული ფორმაა განსაკუთრებით იმ ბიბლიოთეკებისათვის, რომლებსაც დიდი რაოდენობით მკითხველი არა ჰყავთ, ის ხელს უწყობს ბიბლიოთეკარსა და მკითხველს შორის ერთგვარი ფსიქოლოგიური ბარიერის მოხსნას, ლიტერატურის დამოუკიდებლად შეჩევას, რაც თავისთავად ზრდის თითოეული წიგნის მოძრაობის მაჩვენებელს, აჩვევს მკითხველს დამოუკიდებელ ძიებას. ამ დროს ბევრი ისეთი წიგნი გაიცემა, რომელზედაც ჩვეულებრივ პირობებში არ ყოფილ მოთხოვნა. მაღლდება მკითხველის კითხვის კულტურის დონეც. მაგრამ ამავე დროს ლია თაროს აბონემენტი საქმიანობას მოითხოვს: საჭიროა განსაკუთრებული სიზუსტისა და დისკიპლინის დაცვა, მაღალი წესრიგიანობა, მეთვალყურეობის გაზრდა. ამავე დროს ივი მეტ ფართობსაც მოითხოვს, გართულებულია აგრეთვე პიგინის დაცვა, წიგნებიც შედარებით ადრე ცვდება. მაგრამ, მოუხედავად ამისა, უნდა ვეცალოთ, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც (ოპერატორული ფონდი) უეჭველად მოვაწყოს, თავისუფალი დაშვება.

აბონემენტზე მრავალგვარი და რთული საქმიანობა წარმოებს. სწორედ აქ ხდება კითხვის ხელმძღვანელობის



ინდივიდუალური ფორმებისა და მეთოდებისა უძრავი უწყვეტესი ნაწილის რეალიზაცია და ბიბლიოთეკის უმ-
თავრესი საქმიანობა — წიგნების გაცემა-მიღება (წიგნ-
ბრუნვა). აბონემენტის საქმიანობის მოწესრიგება ყვე-
ლაზე რთული პროცესია. ეს განსაკუთრებით ამ ქვეგანა-
ყოფის ტექნიკურ სრულყოფას ეხება. მთელი დოკუმენ-
ტაცია ისე უნდა იყოს აგებული, რომ დროის რაიმე არ-
სებითი დანაკარგის გარეშე თავისუფლად გავარკვიოთ;
რამდენი მკითხველი გვყავს ჩაწერილი ბიბლიოთეკაში
და რა შემადგენლობის, რამდენი წიგნია მათზე გაცემუ-
ლი დროის ამა თუ იმ მონაცემში, რომელი წიგნებია
გაცემული, როგორია ამ წიგნების დარგობრივი თუ ენო-
ბრივი შემადგენლობა, აგრეთვე, რამდენ მკითხველს მო-
ვეშაბურეთ ამა თუ იმ პერიოდში, ვისზე რამდენი და
რა წიგნი ირიცხება, ესა თუ ის წიგნი როდის იქნა გაცე-
მული, როდის უნდა დაბრუნდეს, ან როდის დაბრუნდა,
რომელი მკითხველი აგვიანებს წიგნს და რამდენ ხასს,
ვის როგორი დავალიანება გააჩნია და სხვ. ამავე დროს
აქ შეგვიძლია გავიგოთ მკითხველის ზუსტი ვინაობა, მი-
სი მისამართი, გავარკვიოთ, რას კითხულობს იგი და რო-
გორ, რომელი ნომერი აქვს მიკუთვნებული ამა თუ იმ
მკითხველს და მრავალი სხვა ტექნიკური წვრილმანი თუ
არსებითი საკითხი ყოველივე ამასთან აბონემენტის ტე-
ქნიკა უნდა უზრუნველყოფდეს მკითხველის ფორმულა-
რის დაუყოვნებელ პოვნას და მკითხველის ოპერატიუ-
ლად მომსახურებას.

სწორედ ამისათვის არსებობს აბონემენტზე ტექნი-
კური თქერაციების მთელი სისტემა, რომელიც სრულ-



ყოფილად არის დახვეწილი როგორც მეთოდიკურული მასობრივი და სამეცნიერო ბიბლიოთეკებისათვის. მათთვის არსებობს სპეციალური ინსტრუქციები. რომელთა დაცვა სავალზებულოა, თუმც გამორიცხული არ არის ზოგი უმნიშვნელო ცვლილების შეტანა არსებული პირობების გათვალისწინებით.

წიგნბრუნვის რეგისტრაციისა და სტატისტიკური მონაცემების აღნუსხვის ერთიანი სისტემა საშუალებას იძლევა შეუფერხებლად ვაწარმოოთ წიგნების გაცემა, საჭირო მონაცემების აღნუსხვა და აბონემენტის მუშაობის ერთგვაროვნების მიღწევა ერთი და იმავე ტიპის ბიბლიოთეკებში. ამიტომაც არსებობს, მაგალითად, მკითხველის ფორმულარის, ასევე სამუშაო დღიურისა და სხვა მრავალი დოკუმენტის ერთიანი სავალზებულო ფორმა, რომელიც მოცემულია სათანადო ინსტრუქციებში¹.

აბონემენტით წიგნის გატანა შეუძლია მხოლოდ მას. ვინც სათანადო წესის დაცვით ჩაეწერება ბიბლიოთეკაში ა. აბონემენტი ბიბლიოთეკაში არის ერთადერთი ქვეგანაყოფი, რომელსაც იქვს იურიდიული უფლება წიგნები გასცეს ბიბლიოთეკის გარეთ სარგებლობისათვის. აბონემენტი უმეტესწილად ინდივიდუალურ მკითხველს ემსახურება, მაგრამ ამ ბოლო დროს გამრავლდა ე. წ. „ქმალექტიური აბონემენტი“, როცა ბიბლიოთეკა ემსახურება ერთდროულად მკითხველთა ჯგუფს. საწარმო-დაწესებულებების, ფაბრიკა-ქარხნების, სხვადასხვა ორგანი-

¹ Организация работы централизованной библиотечной системы. Инструкц. и учетн. формы. Изд. 2-е. — М., 1985.

ზაციების კოლექტივებს საშუალება ეძლევათ ქრისტიანი-
რის მეშვეობით ბიბლიოთეკიდან გამოიტანონ წარმეტა
რამდენიმე კაცისათვის — ჯგუფისათვის. ამგვარად შეიქ-
მნა ჩვენში ე. წ. ბრიგადული აბონემენტი, რომელმაც
საქმაოდ ფართოდ მოიყიდა ფეხი. კოლექტიური აბონე-
მენტით შეიძლება ისარგებლონ ოჯახებმაც (საოჯახო
აბონემენტი).

ჩვეულებრივი სტაციონარული აბონემენტის ბაზა-
ზე ბიბლიოთეკაში იქმნება აგრეთვე დაუსწრებელი აბო-
ნემენტი. მისი დანიშნულებაა, მოემსახუროს იმ პირებს,
რომელთაც სამუშაოს ხასიათის გამო ბიბლიოთეკაში მო-
სვლის საშუალება არა აქვთ: დროებით საველე პირო-
ვებში მომუშავენი, საავარიო სამუშაოებზე დასაქმებული
პირები, დასახლებულ პუნქტებს მოცილებული სპეცია-
ლისტები, უმაღლესი სასწავლებლების დაუსწრებელი
ვანყოფილების სტუდენტები, ინვალიდები. ისინი, ჩვეუ-
ლებრივ, გაწევრიანდებიან მათვის ხელსაყრელ ბიბლი-
ოთეკაში დაუსწრებელ აბონემენტზე და წიგნებს დაკვე-
თით მიიღებენ ფოსტის მეშვეობით ან ბიბლიოთეკის აქ-
ტივისტის დახმარებით.

რაც შეეხება ბიბლიოთეკათშორის აბონემენტს (ბშა),
ის საჭირო განსხვავებულ საქმიანობას მოითხოვს და
დიდ ბიბლიოთეკებში ცალკე ქვეგანაყოფადაც კი არის
შექმნილი სათანადო საშტატო ერთეულით. მისი დანი-
შნულება იმაში მდგომარეობს. რომ ხელი შეუწყოს წიგ-
ნებ მკითხველის ყოველგვარი მოთხოვნის დაკმაყოფილე-
ბას. რაც, ცხადია, გარკვეულად შემეცნებითად ღირებულ
საქმიანობასთან არის დაკავშირებული. ამდენად, ბშა-ს
არხით ძრითადად გაიცემა სამეცნიერო-სასწავლო ლი-

ტერატურა, წიგნები მეცნიერებისა და სპეციალისტის
სათვის, თვითგანათლებაზე მომუშავე პირებისაფურცელობა

ჩვენში ბშა-ს მთელი სისტემა არსებობს, რომე-
ლიც ერთიანი ინსტრუქციითა და ერთიანი ფორმე-
ბის გამოყენებით მოქმედებს. ყოველწლიურად დაახლო-
ებით ა მილიონამდე წიგნი გაიცემა ბშა-ს საშუალებით.

ბშა-ს სისტემა აგებულია აღმინისტრაციულ-ტერი-
ტორიული დაყოფის პრინციპით, ბიბლიოთეკების ქსე-
ლისა და ტიპების მიხედვით. ყოველ რეგიონში არსებობს
ბშა-ს უნივერსალური ცენტრი, ხოლო მსხვილ აღმინის-
ტრაციულ დანაყოფებში -- დარგობრივი ცენტრებიც.

ბიბლიოთეკათშორის აბონემენტზე წიგნების მიღე-
ბა-გადაცემა, მოთხოვნისა და რეგისტრაციის სისტემა სავ-
სებით უნიფიცირებულია და სყრდო ინსტრუქციის მი-
ხედვით წარმოებს. არსებობს სპეციალური დებულება,
რომელიც სავალდებულოა ყველა ბიბლიოთეკისათვის-
ამ დებულების თანახმად, დაკვეთის შესრულება ტერი-
ტორიულ-საფეხურებრივ წესს ითვალისწინებს.

თანამედროვე პირობებში ერთგვარ განსხვავებულ
მომენტს ცენტრალურ საბიბლიოთეკო სისტემაში ერთია-
ნი ფონდის სარგებლობის ორგანიზაცია წარმოადგენს.
ჩვეულებრივ, ცენტრალიზებული ბიბლიოთეკების ფი-
ლიალები ერთიანი ფონდიდან დროებითი სარგებლო-
ბის უფლებით იღებენ წიგნებს დაკვეთით. ამ ხერხს არ
შეიძლება ბშა ვუწოდოთ, რადგანაც აქ ერთი ბიბლიო-
თეკის მიერ მეორე ბიბლიოთეკის ფონდის გამოყენე-
ბასთან კი არა გვაქვს საჭმე, არამედ ერთიანი, ყველა ბიბ-
ლიოთეკა-ფილიალის საერთო ფონდიდან სარგებლობას-



თან. აშას სპეციალური შიგასისტემური (შიგასისტემური) წიგნცვლას უწოდებენ.

ბშა, ჩვეულებრივ, ასრულებს კონკრეტულ დაკვეთას სპეციალური დაკვეთის ბლანკის მიხედვით, მაგრამ გამორჩეული არ არის ე. წ. თემატური დაკვეთის შესრულებაც, როცა მხოლოდ თემა, საკითხია- გარევაული აა არ ვიცით, კერძოდ, რა წიგნები უნდა მკითხველს. მაგრამ ამ შემთხვევაში დამკვეთმა ბიბლიოთეკამ შემსრულებელს უნდა აცნობოს მკითხველის თავისებურებანი, წიგნზე მუშაობის ხასიათი, წიგნების სავარაუდო რაოდენობა, პერიოდულობა, ენა, გამოცემის ხასიათი.

თანამედროვე პირობებში ბშა ინტენსიურად იყენებს ფოტოტექნიკას, გამამრავლებელ აპარატურას. ბიბლიოთეკას შეუძლია ორიგინალის ნაცვლად ფოტოგრაფიული ან ქსერო ასლები გავზავნოს. უნივერსალური აპარატების გამოყენებით შეიძლება მიქროფილმების დამზადებაც.

შექმნილია აგრეთვე ე. წ. საერთაშორისო აბონენტი, რომელიც სტრუქტურულად ბშა-ს წარმოადგენს, ოლონდ იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში წიგნების გადაგზავნა დროებითი სარგებლობისათვის ხდება სხვადასხვა ქვეყნების დიდ ბიბლიოთეკებს შორის.

ჩვენს ბიბლიოთეკებში მკითხველთა მომსახურების განსაკუთრებით გავრცელებულ სტრუქტურულ ერთეულს სამკითხველო დარბაზი წარმოადგენს. დარბაზული მომსახურება ინუ მკითხველთა მომსახურება წიგნის უშუალოდ ადგილზე სარგებლობისათვის ყველა ბიბლიოთეკაში წარმოებს, როგორიც არ უნდა იყოს იგი —

დიდი თუ პატარა. საერთოდ, რაც უფრო დიდია და მით
 ლითოვეკა, დარბაზის როლი და დანიშნულებაც მით
 უფრო დიდია. ხოლო აბონემენტისა — შედარებით
 მცირე, ზოგან კი სულაც არ არსებობს იყო. პატარა ბი-
 ბლიოთეკებში კი პირიქით არის — აბონემენტს მეტი
 მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე დარბაზს.

სამკითხველო დარბაზებშიც აქტიურად ეწევიან
 მკითხველთა დიფერენცირებულ მომსახურებას. ამიტო-
 მაც ქმნიან სხვადასხვა ტიპისა და სახის დარბაზებს, რის
 საფუძვლად იღებენ ერთიან არსებით ნიშანს. მაგალი-
 თად, დარბაზები შეიძლება განვასხვავოთ იმის მიხედ-
 ვით, თუ როგორაა ორგანიზებული მომსახურება მკით-
 ხველთა კატეგორიებს ს გათვალისწინებით. მა ნიშნის მი-
 წედვით ორი სახის დარბაზი გამოიყოფა: ერთი — საერ-
 თო, სადაც ყველა კატეგორიის მკითხველს ემსახურები-
 ან განურჩევლად, და მეორე — სპეციალიზებული,
 როდესაც დარბაზი განკუთვნილია რომელიმე კატეგო-
 რიის მკითხველისათვის (მეცნიერ-მუშავთა დარბაზი,
 პროფესორ-მასწავლებელთა დარბაზი, მოსწავლე-ახალ-
 გაქმრილობის დარბაზი და სხვ.).

დარბაზებს განასხვავებენ ერთმანეთისაგან აგრეთვე
 გასაცემი ლიტერატურის დარგობრივი შემადგენლობის
 მიხედვით: უნივერსალური დარბაზი და დარგობრივი
 (სპეციალური) დარბაზი.

დარბაზებს გამოცემათა სახეების მიხედვითაც ან-
 სხვავებენ. არსებობს ძეგლი სახის დარბაზები და კაბინე-
 ტები, როგორიცაა პერიოდიკა, კარტოგრაფიული ნა-
 წარმოებების, გრაფიკული გამოცემების, მუსიკალური
 ლიტერატურის, აგრეთვე აუდიოვიზუალურ საშუალე-

ბათა, ბიბლიოგრაფიული გამოცემების, სახურავის და სხვა.

დარბაზების ამგვარი ღიფერენციაცია შესაძლებელია მხოლოდ დიდ საკავშირო თუ რესპუბლიკურ ბიბლიოთეკებში. ჩვეულებრივ მასობრივ ბიბლიოთეკებში კი არსებობს საერთო მომსახურების უნივერსალური. დარბაზები ყველა სახის ლიტერატურით. იქ, სადაც დარბაზი ცალკე ობიექტად არ გამოიყოფა (სასკოლო, სასოფლო ბიბლიოთეკები), საჭიროა აუცილებლად არსებობდეს პატარა კუთხე მაინც, რომ მკითხველს საშუალება ჰქონდეს ადგილზე ისარგებლოს ლიტერატურით. ამ შემთხვევაში მკითხველები უმეტესად უურნალ-გაზეთებით სარგებლობენ, რაც თავისებური მომსახურების ორგანიზაციას საჭიროებს.

მასობრივი ბიბლიოთეკების დარბაზებში ფართოდ ეწევიან პერიოდიკით მუშაობას — მაგიდებზე გამოფენებ უურნალ-გაზეთებს, თემატურად კრებენ საგაზეთო ამონაჭრებს, აკეთებენ ამონაჭრების ფარებს, ალბომებს და ამგვარად ეხმარებიან თვითგანათლებაზე მომუშავე პირებსა და ინფორმატორებს.

სხვადასხვა ტიპისა და სახის ბიბლიოთეკებში თავისებურია არა მარტო ორგანიზაციული საქმიანობა, არა მედ ლიტერატურის გაცემა-მიღების (ბრუნვის) რეგისტრირების სისტემაც. მასობრივი ბიბლიოთეკები, რომლებიც ახლა უკვე მთლიანად გაერთიანებული არიან რეგისტრების მიხედვით ერთიან ცენტრალიზებულ სისტემაში, დიდ საქმიანობას ეწევიან მკითხველთა მომსახურებისათვის ბიბლიოთეკის გარეთაც. მართალია, მკითხველთა მომსახურების არასტაციონარული ფორმები მკითხველ-



თა მომსახურების დამატებითი, შემავსებელი საშუალებებია ბაა, მაგრამ მათი გამოყენების დიდი ტრადიცია არსებობს და მას ახლაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამჟამად იგრ იხვეწება, ვითარდება და ახალ-ახალ მეთოდიკურ საფუძვლებს იძენს.

მომსახურების ასეთ ფორმათა შორის ახლა თოთქმის ყველა ქვეყანაში, და ჩვენშიც, გამოიყენება საბიბლიოოთეკო ტრანსპორტი, ძირითადად ბიბლიოთეკა-ავტომობილის (ბიბლიობუსის) სახით. ნაწილობრივ ასეთი მომსახურება წარმოებს როგორც სარკინიგზო, ისე საზღვაო-სამდინარო ტრანსპორტითაც. ჩვენი ქვეყნის შორეულ აღმოსავლეთში იყენებენ შვეულმფრენებსაც. ზოგან გამოიყენება საჭაპანო ტრანსპორტიც.

საბიბლიოოთეკო მუშაობაში ფართოდ არის დანერგილი ე. წ. მოძრავი ბიბლიოთეკით მკითხველთა მომსახურების სისტემა. მოძრავი ბიბლიოთეკა (იგივე მოძრადი) იხსნება რომელიმე საწარმოსა თუ დაწესებულებაში, რომლის მუშაკებიც უზრუნველყოფილი არ არიან სათანადო სტაციონარული საბიბლიოოთეკო მომსახურებით. ასეთ ბიბლიოთეკებს მოძრავს იმიტომ უწოდებენ, რომ მათ მუდმივი წიგნადი ფონდი არ გააჩნიათ, მარაგდებიან სტაციონარული ბიბლიოთეკის წიგნებით. ამგვარად, ასეთი ბიბლიოთეკის ფონდი მუდმივ მოძრაობაშია, მუდმივად იცვლება. ამჟამად ეს ფორმა ერთგვარ მოდერნიზაციის განიცდის და თავისი საქმიანობით ე. წ. გაცემის პუნქტს უახლოვდება.

მოძრადზე მკითხველს საზოგადოებრივ საწყისებზე ემსახურება საწარმო-დაწესებულების სტაციონარული ბიბლიოთეკის ქმრივისტი მუშაკი. რომელიც უშუალოდ



პირველი თეკისაგან იღებს საჭირო დახმარებაში „რეკომენდირებული მითითებებს“

მასობრივი ბიბლიოთეკები, რომელთა მომსახურების არე დიდ ტერიტორიას მოიცავს, უმეტესად სოფლის პირობებში, სანიან გაცემის პუნქტებს. ბიბლიოთეკარი გარკვეული პერიოდულობით, რაც ცნობილია, გაცემის პუნქტის სამომსახურო უბნის მოსახლეობისათვის, მოდის წინასწარ სპეციალურად შერჩეულ აღგილზე — გაცემის პუნქტზე (რომელიმე სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ დაწესებულებაში, სასწავლებელში, შეიძლება ოჯახშიც) და მიაქვს მკითხველების მიერ სეკვენცილი და ახალმიღებული ლიტერატურა, გასცემს მას და იბრუნებს ადრე გაცემულს. ეს ფორმა ძალზე სასარგებლოւ მკითხველებთან დაახლოების, მათი ინფორმირება-რეკომენდების, მოსახლეობის მოზიდვის, მათთან მასობრივი მუშაობის ჩატარებისათვის.

ბიბლიოთეკები იყენებდნენ მომსახურების ისეთ ფორმას, როგორიცაა წიგნდამტარებლობა. მას ახლაც იყენებენ, განსაკუთრებით მთიანი რაიონების ბიბლიოთეკები საველე სამუშაოებზე დიდი ხნით გასული მშრომელებისათვის სეზონური სამუშაოების დროს, მეცხოველეობის მუშაკების, გზების მშენებლების, მელიორატორებისათვის და სხვ. მათ უახლოესი ბიბლიოთეკა ემსახურება, მიაქვს მათთან წიგნები, ახალ-ახალი უურნალ-გაზეთები, ატარებს ხმამაღალ კითხვა-საუბრებს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სტაციონარული მომსახურებისაგან მოწყვეტილი მშრომელების კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

არ არის სწორი მოსაზრება, თითქოს მოსახლეობის

საბიბლიოთეკო მომსახურების არასტაციონარული ფორმების შეზღუდვის ექონომიკური და კულტურული განვითარების პირობებში კარგავდნენ თავიანთ მნიშვნელობასა და პრაქტიკულ ღირებულებას. ცხადია, თანდათანობით არასტაციონარული ფორმები სტაციონარულს დაუთმობენ ადგილს, მაგრამ ამჟამად ჯერ კიდევ სჭიროა მათი გამოყენება მოსახლეობის წიგნით სრულყოფილად მომსახურების უზრუნველყოფისათვის!

მკითხველთა უსლავლა პიბლიოთეკაში

მკითხველთა შესწავლას ბიბლიოთეკაში დიდი ხნის ისტორია აქვს. მას საფუძველი ჩაეყარა ბურუუაზიული საზოგადოების საწყის ეტაპზე, სახალხო ბიბლიოთეკების წარმოშობისთანავე, მაგრამ მეცნიერულ ნიადაგზე იგი მროლოდ მე-20 საუკუნის დასაწყისში დადგა.

მკითხველთა შესწავლის, კითხვისა და წიგნის ფსიქოლოგიის პრობლემებზე ამჟამად მრავალი გამოჩენილი მეცნიერი, მეთოდისტი თუ პრაქტიკოსი მუშაობს.

ხანგრძლივი პერიოდის ვანმაცლობაში რანდათამ გამოიკვეთა მკითხველის შესწავლის კვლევის როგორც სოციალოგიური, ისე ფსიქოლოგიური პრობლემები; ამჟამად საფუძველი ჩაეყარა ახალ დარგს — მკითხველთ-

1. ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იხილეთ: ა. ლორია, მკითხველებთან მუშაობის მეთოდები და მომსახურების ორგანიზაცია. თბ., 1985.



მცოდნეობას, რომელიც იყვლევს როგორც მკითხველი
საზოგადოებას — შათ მოთხოვნილებას, ინტერესებს,
კითხვის კულტურას, ისე შათზე წიგნის ზეგავლენის
პრობლემებს. არის ტენდენცია, რომ ეს დარგი კიდევ
უფრო განვითარდეს, გაფართოვდეს მისი კვლევის არე
და, საერთოდ, შეიქმნას მეცნიერება კითხვის შესახებ —
ლექტოროგია.

მკითხველთა შესწავლა ჩვენი ბიბლიოთეკების
ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობაა. ყოვლად
წარმოუდგენელია კითხვის ხელმძღვანელობა, თუ კარ-
გად არ ვიცნობთ მკითხველს, მის პიროვნულ თვისებუ-
რებებს, თუ არ ვერკვევით ფსიქოლოგიურ კანონზომი-
ებრებებში და პიროვნების მკითხველურ ინტერესებში,
თუ არ გავითვალისწინებთ სოციოლოგიისა და სოცი-
ოლოგიური კვლევის მეთოდებს.

როდესაც მკითხველის შესწავლაზე ვლაპარაკობთ,
ეს იმას არ ნიშნავს, თოვქოს ადამიანი, როგორც მკით-
ხველი, სხვა იყოს, და როგორც სოციალური ასესია,
სხვა. ადამიანი ერთიანი, მთლიანია და მკითხველური
თვისებები მისი ადამიანური თვისებების ერთ-ერთი თა-
ვისებურებაა, ამიტომაც, როდესაც პიროვნების მკით-
ხველურ თავისებურებებს ვიქვლევთ, ცხადია მხედვე-
ლობაში გვაქვს ამ თავისებურებების კავშირი პიროვნე-
ბის როგორც ფსიქოლოგიურ, ისე სოციალურ გარემო-
სთან.

მკითხველთა შესწავლის დროს განსაკუთრებული
მნიშვნელობა ენიჭება მათი ინტერესების შესწავლას.
იმდენად დიდი ადგილი უჭირავს ინტერესებს მკითხვე-

ლის თავისებურებათა შორის, რომ ზოგჯერ მკითხველის
 შესწავლას აიგივებენ მკითხველის ინტერესების შესწავ-
 ლასთან, რაც არაა სწორი. მკითხველთა ინტერესების
 შესწავლა მკითხველის შემადგენელი ნაწი-
 ლია.

საჭიროა კარგად ვერკვეოდეთ მკითხველის ინტე-
 რესებში, ვიცნობდეთ მის თავისებურებებს, კანონზო-
 მიერებას, დამახასიათებელ თვისებებს, შეგვეძლოს მი-
 სი კონკრეტული ინტერესების ანალიზი, მისი მიმსრ-
 თულების, ინტენსივობის, მოცულობისა და სიმტკიცის
 შეცნობა. ამისათვის საჭიროა, ბიბლიოთეკარი დაუფლე-
 ბული იყოს ფსიქოლოგიის საფუძვლებს, მეორე მხრივ,
 პრაქტიკულად შეეძლოს საქმის სრულყოფილად წარმარ-
 თვა.

მკითხველთა შესწავლისათვის ჩამოყალიბებულია
 საკმაოდ მწყობრი მეთოდიკური სისტემა. იგი თანდათან
 ვითარდება, იხვეწება და ივსება.

მკითხველთა შესწავლის მეცნიერული ცვლევის
 დროს ჩვენ სავსებით კონკრეტულ ამოცანებს ვისახვთ:
 საჭიროა მოვახდინოთ მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუ-
 ფების მოთხოვნილებების, მკითხველური ინტერესები-
 სა და გემოვნების შესახებ არსებული მასალის განხილ-
 ვადება, მკითხველთა ჯგუფების ჩამოყალიბება და კლასი-
 ფიკაცია, ამა თუ იმ ტიპის მკითხველთა ინტერესების
 კანონზომიერებათა გარკვევა, სხვადასხვა ტიპის ბიბლი-
 იოთეკაში ცოდნის სხვადასხვა დარგის მიხედვით კითხვა-
 დობის მდგომარეობის დაღვენა, ბიბლიოთეკაში მკითხვე-
 ლებთან მუშაობის ეფექტურობის, წიგნის ზეგავლენისა
 და მკითხველის მოთხოვნაზე სოციოლოგიური ფაქტო-

რების მოქმედების შესწავლა. გარდა ამისა, ჩვეულებული ცანად ვისახავთ აგრეთვე ცალკეული კონკრეტული პიროვნებისა თუ მოვლენების შესწავლა-ანალიზსა და მის ძეცნიერულ განზოგადებას, როგორიცაა, მაგალითად, ამა თუ იმ ბიბლიოთეკის საქმიანობის ეფექტურობის დადგენა, ამა თუ იმ წიგნის გავრცელებისა და მოთხოვნილების მდგომარეობა, მკითხველთა მიერ ბიბლიოთეკის საქმიანობისა თუ რომელიმე წიგნის შესახებ მოსახლეობის შეხედულებათა დადგენა და მრავალი სხვა.

მკითხველთა შესწავლის მეთოდიკის მთელი სისტემა შეიძლება ორად გავყოთ: პირველი — ზოგადმეცნიერული მეთოდები ანუ ისეთი მეთოდები, რომლებიც საერთოდ გამოიყენება პიროვნების შესწავლისათვის და რომელსაც ყველა დარგი მიმართავს, თუკი მას აღამიანის შესწავლა ესაჭიროება, და მეორე — კერძომეცნიერული ანუ სპეციალური მეთოდები, რომლებიც მხოლოდ ბიბლიოთეკის პირობებში გამოიყენება როგორც მკითხველის კვლევის საშუალება. ერთსაც და მეორესაც გარევეული მნიშვნელობა აქვს და თანაბრად გამოიყენება მკითხველთა შესწავლისათვის.

ყველაზე მეტად გავრცელებულია მეთოდების დაშვეულება ანალიზის წესის მიხედვით, ანუ იმის მიხედვით, თუ რა მასალას ვიყენებთ საანალიზოდ, როგორ ხდება შედეგების მიღება, რა ხერხით ვახდენთ შესწავლას. ყოველივე ამის გათვალისწინებით მკითხველთა შესწავლის მეთოდების ხუთი ძირითადი ჯგუფი შეიძლება განვასხვავოთ: 1) ზეპირი ურთიერთობის მეთოდები, 2) წერილობითი ურთიერთობის მეთოდები, 3) სტატისტიკურ-მათემატიკური მეთოდები, 4) დოკუმენ-



ტების მეთოდები, 5) ექსპერიმენტული მეთოდების განვითარება, 6) მეთოდები გამოიყენება როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთადაც, იმის მიხედვით, თუ რომელი როდის უფრო მოსახერხებელი და ეფექტურია. ამ მეთოდების ერთვარ გამატერიანებელ საშუალებას წარმოადგენს დაკვირვება, რომელსაც მეთოდთა მეთოდს უწოდებენ და რომელიც განსაკუთრებულ როლს ასრულებს მეოთხეელთა შესწავლაში. შეიძლება ითქვას, რომ იგი ყველა ჯვუფის მეთოდთა თანდართული მეთოდია და ამ-დენად, მისი ცალკე გამოყოფა შეუძლებელია.

ზეპირი ურთიერთობების მეთოდების მეოთხედან ჩვენი ქვეყნის ბიბლიოთეკებში ვრცელდით სუერგავრცელებულ მეთოდს, როგორიცაა საუბარი, ინტერვიუ, კოლექტიური სჭა-ბაასი. მას წარმოების თავისებური წესი და რიგი გააჩნია, რაც სავსებით ჩამოყალიბებული და შესწავლილია. იგივე ითქმის წერილობითა ურთიერთობის ისეთ მეთოდებზე, როგორიცაა ანკეტა, რომელზეც პასუხის გაცემით შეგვიძლია გავიგოთ მკითხველის მოსაზრებები და შეხედულებანი; რაც საშუალებას იძლევა, ვიმსჯელოთ, რას წარმოადგენს ესა თუ ის მკითხველი. შედარებით ნაკლებად არის გავრცელებული ე. წ. ექსპერტთა შეფასების მეთოდი. ანკეტური გამოკითხვისაგან განსხვავებით მისი დამახსიათებელი თავისებურება ისაა, რომ დაკვირვების პირი ოფიციალურ პასუხთან შედარებით უფრო სრულ პასუხს იძლევა და უფრო სრულად გამოიტვამს თავის აზრებსა და შეხედულებებს, ამასთან ჩვენ მას ვიყენებთ არა ყველა მკითხველის შესწავლის დროს, არამედ იმ პირების შესასწავლად, ვის მოსაზრებასაც ანგარიშს ვუ-



წევთ, ჩემისაცენ ვენდობით. ასეთი გამოკვლევა უკავშირდება გამორტყენება უპროცენტოზონის ირებისათვის, მკითხველთა მოსაზრებების გამოსავლენად, მათი შეხეღულებების გამოსარკვევად. ნა კოლოფიც.

ამიდამ ბოლო ხანებში ბიბლიოთეკაში ექსპერტთა შეფრაცხის მეთოდი იყენებენ წიგნების შესახებ საზოგადოების პზრის გამოსარკვევად. თავიანთ შეხედულებებს მკითხველები ე. წ. წ. „უკუკავშირის ბარათებზე“ წინასწარ შედგენილი სქემის მიხედვით წერენ და აწვდიან ბიბლიოთეკას.

წერილობითი ურთიერთობის შეთოდად შეიძლება მივიჩნიოთ აგრეთვე სპეციალური ტესტები, რომლებსაც მოკლე მინაწერებით ავსებს მკითხველი. ზოგ შემთხვევაში პასუხების ნაცვლად იწერება შესაფერისი ციფრი (კოდი), რომელიც ვარკვეულ აზრს შეიცავს, რაღაც მოსაზრებას გამოხატავს. ასეთი მეთოდი უმეტესად გამოიყენება შედეგების მანქანურა წესით დამუშავებისას.

სტატისტიკურ-მათემატიკური შეთოდი, უპირველეს ყოვლისა, გვემარება მთელი რიცი წინასწარ მოპოვებული მონაცემების მათემატიკური სიზუსტით დამუშავებაში. მისი საშუალებით ხდება იმ საკითხების შესწავლა, რომელთა გამოხატვა შესაძლებელია რაოდენობითი მაჩვენებლებით: წიგნბუნვა, კითხვადობა, მროთხველთა შემაღებენლობის რაოდენობრივი შეფარდება (რომელი კატეგორიის რამდენი მკითხველი გვყავს) და ა. შ. ამ ხერხით შეიძლება გავარკვიოთ, მაგალითად, რა სისტემატურობით კითხულობენ მკითხველები, რამდენად სწრაფად კითხულობენ, ბევრს



კითხულობებს თუ ცოტას. შეიძლება დავადგინდოთთავაყურა
რეზე წიგნის პოსულარობაც — რამდენჯერაა გაცემუ-
ლი და ა. შ. ყოველივე ამან შეიძლება გაგვარკვიოს ამა
თუ იმ ბიბლიოთეკის შრომის ინტენსივობაში, ამ მეთო-
დით ვსახლვრავთ, რამდენი მქითხველი გვყავს, მათ შო-
რის რამდენია ქალი, რამდენი კაცი, რამდენი უმაღლესი
განათლებით, საშუალო განათლებით და ა. შ. ზოგ შემ-
თხვევაში შისი მეშვეობით შეიძლება არა მარტო რაც-
დენობრივი მოცულობის მქონე მონაცემების განსახლ-
ვრა, არამედ თვისობრივი თავისებურებების შესწავლაც. მა-
საგალითად, შეგვიძლია მოვაწდინოთ მქითხველის დაინ-
ტერესების კვლევა იმის დასაღვენად, თუ როგორი მი-
მართულების ინტერესია მასში უმეტესწილად განვითა-
რებული, რამდენიმე მიმართულების ინტერესთა შორის
რომელი უზრუნველყოფით მეტად გამოჩინული და
სხვ.

სტატისტიკურ-მათემატიკური მეთოდების გამო-
ყენება ბიბლიოთეკაში დაკავშირებულია სხვადასხვა
დოკუმენტების შესწავლასთან. ამ მხრივ ყველა დოკუ-
მენტი შეიძლება ვახდეს ანალიზის ობიექტი, მაგრამ
ბიბლიოთეკაში არსებობს სპეციალური დოკუმენტები,
რომელნიც სტატისტიკური აღრიცხავენ ყველაფერს,
რაც კი შეიძლება რაოდენობრივად გამოვსახოთ.

საერთოდ, დოკუმენტები შეიძლება გამოვიყენოთ
როგორც სტატისტიკური მონაცემების ანალიზისათვის,
ასევე შეკითხველთა შეხედულებათა ანალიზისთვისაც.
დოკუმენტებში რაოდენობით მაჩვენებელთან ერთად
გვხვდება სხვადასხვა მოსახრება, მტკიცება-დასაბუთე-
ბა, აზრის გამოტანა, გადაწყვეტილების მიღება, შეხე-

დულებათა გამოქვეყნება და სხვ. ყოველივე აშშიზურებული წავლას და მისი ანალიზის საფუძველზე აზრის ჭრაში ჩატარდება ჩვენ უკვე ვახდენთ ე. წ. დოკუმენტების კვლევის მეთოდებით.

სტატისტიკურ-მათემატიკური და დოკუმენტური კვლევის ობიექტს შეიძლება წარმოადგენდეს როგორც მუშავის შრომის წარმოების ყოველდღიური აღრიცხვის რვეული, ასევე განყოფილებისა თუ ბიბლიოთეკის მუშაობის დღიური, ფრეთვე მკითხველისა თუ წიგნის ფორმულარი, ანვარიშები, ოქმები, ლონისძიებათა დღიურები, მოთხოვნათა კართოტეკა, უარების აღრიცხვის ჩანაწერები, მკითხველთა ავტობიოგრაფიული თუ პირადი დღიურები — ე. წ. „წიგნის ბიოგრაფიები“, რომლებსაც მასობრივი ბიბლიოთეკები აწარმოებენ და რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ თვალყური ვავადევნოთ ამა თუ იმ წიგნს, როგორ ვრცელდება იგი, როგორია მასზე მოთხოვნა, რომელ პერიოდში როგორი მოთხოვნა იყო მასზე და სხვ. შეიძლება კვლევის ობიექტად ვაქციოთ ფრეთვე მკითხველთა გამოხმაურება — ანალიზი.

ამ შემთხვევაში გარკვეულ როლს თამაშობს ე. წ. კონტრენდ-ანალიზი, რომელიც გამოიყენება იმისათვის, რომ მოახდინოს ერთგვარი შეჯერება სტატისტიკურსა და ლოგიკურ ანალიზს შორის, რაოდენობრივად გამოხატოს ლოგიკური დაკვირვების, განსხის საშუალებით შიღებული შედეგები. მაგალითად, რომელიმე აზრი, რომელსაც გამოთქვამენ მკითხველები, ვთქვათ, გვხვდება N ასოდენობით, ხოლო საწინააღმდეგო აზრი შედარებით



ნაკლებად ცხადია, რომელიც შეტად გვხვდება, უფლებული გავრცელებულიც ის ყოფილა.

მკითხველთა შესწავლის მეთოდთა შორის თვისებულებებით გამოიჩინევა ექსპერიმენტული კვლევის მეთოდთა ჯგუფი, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია მეცნიერული დებულებების, წინაშიარ წამოყენებული მოსაზრებების ან პიპოთებების პრაქტიკულად შემოწმებისათვის. იგი საშუალებას იძლევა, შევამოწმოთ ჩვენი დასკვნების სიზუსტე, რასაც პრაქტიკაში დიდი მნიშვნელობა აქვს. მიუხედავად ამისა, ექსპერიმენტების მეთოდიკა ჯერ კიდევ სრულყოფილად არ არის დამუშავებული და ნაკლებადაც გამოიყენება, რადგანაც სხვა მეთოდების საშუალებითაც სავსებით დამაკმაყოფილებლად ხერხდება ბიბლოთეკის მკითხველთა ოპტიმალურად შესწავლა. აქვე შეიძლება ითქვას, რომ მკითხველთა შესწავლა ხდება არა მარტო აქტიური, არამედ ე. წ. პასიური გზითაც, როდესაც ბიბლიოთეკარები მკითხველებთან ხანგრძლივი ურთიერთობის შედეგად სავსებით სწორ შეხედულებებს შეიმუშავებენ მათზე, რასაც იყენებენ კიდეც მათთან კითხვის ხელმძღვანელობის დროს. ამგვარად მიღებულ ცოდნას, ცხადია, გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ მას მეტი ფასი ექნება, თუკი ამ ჩვენს ცოდნას გავაანალიზებთ, გამოვიყენებთ მუშაობაში, მეცნიერულად განვაზოგადებთ.

მკითხველთა შესწავლისას განსაკუთრებული გულისყურით უნდა მოვეკიდოთ პირველადი მასალის შეკრებასა და დამუშავებას. საერთოდ, მასალის მოპოვება საკმაოდ რთული პროცესია. აქ გარკვეულად საჭმეს არ-



თულებს ისიც, რომ ზუსტად უნდა განვხაზღვისათვეზე
რავ მასალაში სახელდობრ ჩა უნდა იქნეს შერჩეული,
რას ექნება ჰეშმარიტი ლირებულება, რომელი შეესაბა-
შება ჩვენს მიზნებსა და ამოცანებს. გარკვეული მნიშ-
ვნელობა ენიჭება იმასაც, თუ რამდენად გულწრფელ,
უშუალო მასალას ვღებულობთ მკითხველისაგან. ამა-
ტომაც, ნაკლებეფექტურია ის მეთოდები, რომელთა
გამოყენებისას მკითხველმა იცის, რომ მას შეისწავლიან.
უმჯობესია ისეთი მეთოდები, როდესაც მკითხველმა არ
იცის, რომ მასთან რაღაც სპეციალურ სამუშაოს ატარე-
ბენ, როდესაც ჩვენი მიზნები შენიღბულია, მკითხველის
პასუხები შედარებით უშუალოა და ამდენად შედეგიც
ჰეშმარიტია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ რომელიმე ჯგუ-
ფის მეთოდი საერთოდ უგულებელვყოთ. ისინი ერთმა-
ნეთს ავსებენ და ხელს გვიწყობენ, უფრო სრულყოფი-
ლად შევისწავლოთ ჩვენი მკითხველი.

მკითხველთა შესწავლის ეფექტურობა დიდადაა
დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ არის ორგანიზებული
ეს საქმე ბიბლიოთეკაში. გარკვეულ როლს თამაშობს
ისიც, თუ ჩა რაოდენობის მკითხველთან გვიწევს მუ-
შაობა. შეიძლება შევისწავლოთ ცალკეული მკითხველი
(ინდივიდუალური შესწავლა), შედარებით მოზრდილი
ჯგუფი თუ კოლექტივი, ან მთელი მკითხველი აუდიტო-
რია (მასობრივი შესწავლა) და მთელი საზოგადოება,
რომელიც ჩვენი ბიბლიოთეკის სამომსახურეო არეში
შედის (საზოგადოებრივი შესწავლა).

საზოგადოების ფართო კვლევის პროგრამის გაა-
ხორციელების დროს ბიბლიოთეკებს ხშირად უწევთ
ოჯახების შემოვლა, რაშიც მონაწილეობს ბიბლიოთე-



კის აქტივი. ეს კიდევ დამატებით სირთულეებს საჭიროა
საქმეს. ისიც ართულებს, რომ მკითხველთა შესწავლა
სისტემატურ ხასიათს მტკრებს, თუმცა გამოჩიტაული
არ არის ერთჯერადი (კამპანიური) შესწავლაც. როგო-
რადაც არ უნდა იყოს, ეს სამუშაო წინასწარგანზრახუ-
ლად, გეგმიურად ხდება და ამდენად ზუსტ ორგანიზა-
ციულ მუშაობას საჭიროებს.

როდესაც მკითხველთა შესწავლის სამუშაოები დი-
ლი მასშტაბებით ტარდება. საჭიროა საკითხები კოლე-
ქტორურად წყდებოდეს. მეთოდების შერჩევასა და და-
მუშავებაში უნდა მონაწილეობდნენ საქმის კარგი მცო-
ლნე და გამოცდილი სპეციალისტები. მხედველობაშია
მისაღები აგრეთვე ბიბლიოთეკის პირობები: შტატის
კვალიფიციურობა, დროის ბიუჯეტი, აქტივის შესაძ-
ლებლობები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ყოველი მეთოდი, რომელსაც მკითხველის შესწავ-
ლის მიზნით ვიყენებთ, უნდა ამართლებდეს თავის და-
ნიშნულებას და იყოს შეღეგიანი, ამასთან, საჭიროა ამ
შეღეგების განზოგადება და მისი გაცნობა ფართო საზო-
გადოებისათვის.

მკითხველთა შესწავლის დროს საჭიროა მტკიცე-
კორდინირებული საქმიანობა სხვა დაწესებულებებთან,
უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო და პროფესი-
შირულ ორგანიზაციებთან, საინფორმაციო, საზო-
გადოებრივი აზრის შემსწავლელ დაწესებულებებთან,
გამომცემლობებთან, სასწავლებლებთან. ასევე მჭიდრო
კონტაქტი უნდა დავამყაროთ ჩვენი რეგიონის სხვა ბიბ-
ლიოთეკებთან და, რაც მთავარია, საბიბლიოთეკო ქსე-
ლის ცენტრალურ ბიბლიოთეკებთან.



სრულყოფილი ორგანიზაცია გულისხმობენ საქათელა-
დო პირობების შექმნას იმ პირებისათვის, რომლებიც
მკითხველთა შესწავლას ახდენენ, მათთვის საჭირო მოწ-
ყობილობა-ინცენტარის, დანადგარების მოწესრიგებას,
ფიქსაციის საშუალებათა მიწოდებას, გამოთვლითი და
გამამრავლებელი ტექნიკო უზრუნველყოფას.

მკითხველთა შესწავლის საქმიანობისათვის დამახა-
სიათებელია ის, რომ იგი შეიძლება მიმღინარეობდეს ან
როგორც დამოუკიდებელი პროცესი, ან სხვა სამუშაო
პროცესებთან ერთად, შერწყმულად თუ პარალელურად
ჩვეულებრივ, იგი წარმოებს მკითხველთა კითხვის ხელ-
მძღვანელობისა და მომსახურების პერიოდში.

მკითხველთა შესწავლის ორგანიზაცია სხვადასხვა
ბიბლიოთეკაში სხვადასხვაგვარად არის მოწესრიგებუ-
ლი. ეს დამოუკიდებულია მკითხველთა შესწავლის ძირი-
თად მიზნებსა და ამოცანებზე, აგრეთვე ბიბლიოთეკის
შესაძლებლობებზე.

მკითხველთა შესწავლა ჩვენს ქვეყანაში სხვადასხ-
ვა მასშტაბებითა და მიმართულებით წარმოებს. არსე-
ბობს სპეციალური სოციოლოგიური კვლევის სახელმწი-
ფო ცენტრები, რომლებიც თავიანთ კვლევის გეგმებში
დიდ ადგილს უთმობენ მკითხველთა შესწავლას, მასის
კითხვის მდგრადი რობის ანალიზს. მაგრამ ამ შემოხვე-
ვაში მთავარ როლს მარც საბიბლიოთეკო ცენტრები ას-
რულებენ. ამ ბოლო დროს განსაკუთრებით გაააქტიურეს
მუშაობა ცენტრალიზებულ სისტემათა მთავარმა ბიბლი-
ოთეკებმა.

შრომის ორგანიზაციის სრულყოფისათვის აუცილე-
ბელია საქმისადმი ჰერმარიტი მეცნიერული მიდგომა.

მკითხველთა შესწავლის საკითხების მეცნიერულ გრძელებაზე მუშავება მხოლოდ ბიბლიოთეკათმცოდნეობის საქმე როდის. აქ საჭიროა ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის აქტიური დახმარება, მუზიდრო კონტაქტები სოციოლოგიასთან! 1

საშუალო განათლების საყოფალთაობამ, სპეციალისტების მომზადების მაღალმა დონემ, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ გაზარდა მშრომელთა ინტერესი წიგნისადმი.

მკითხველის განსაკუთრებულ თავისებურებას წარმოადგენს ინტერესების მრავალფეროვნება და კითხვისადმი კოლექტიური დამოკიდებულება. წიგნის ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები, გარჩევა-განხილვები, ხმამაღალი კითხვები, დისპუტები, საუბრები წაკითხული წიგნის ირგვლივ და სხვა მასობრივი ღონისძიებანი ჩვენში მეტად გავრცელებული ფორმებია. აზრთა ურთიერთგაცვლა, წიგნის ორგანიზებული თუ არაორგანიზებული ბრუნვა, საზოგადოების აქტიური მონაწილეობა წიგნის პროპაგანდისა და გავრცელების საქმეში: ხელს უწყობს პიროვნების საზოგადოებრივი აქტოების ამაღლებას.

საქართველოში ყოველ 100 კაცზე 828 წიგნი მოდის, 1986 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკები 3774 ათას კაცს მოემსახურნენ².

1. უფრო დაწვრილებით იხ.: მეთოდური დ მუშაობის გამოცდილების ამსახველი მასალების კრებული. (გამოშვ. პირველი). — თბ., 1974, გვ. 84-88; Работа с читателями. 3-е изд. — М., 1981, с. 89-159.

2 Грузия в цифрах в 1987 году, с. 168.

მოსახლეობის დიდი ნაწილი პირად ბიბლიოთეკებს ფლობს. სოციოლოგთა გამოკვლევით, 70-იანი წლების დასასრულს არ იყო ისეთი ოჯახი, რომელსაც უურნალგაზეთები არ ჰქონდა გამოწერილი.

განსაკუთრებით გაიზარდა მაჩვენებლები ბოლო ათწლეულში. ამაზე ნათელ წარმოდგენის იძლევა სტატისტიკური კრებულები. საევე საინტერესო მასალას გვაწვდიან სოციოლოგები მუშა-მკითხველების შესწავლის შედეგად.

მკითხველის თავისებურებათა ანალიზისას შეიმჩნევა, რომ სხვადასხვა კატეგორიის მკითხველები საგრძნობლად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. გარემო პირობები და შრომა-საქმიანობის სპეციფიკა, ცხადია, წიგნის მომხმარებელთა საქმიოდ განსხვავებულ მოთხოვნებს იწვევს. მოსახლეობის სხვადასხვა ძირითადი სოციალ-დემოგრაფიული ჯგუფების შესწავლისას ნათლად ჩანს, რომ კითხვის თვალსაზრისით ყველგან ერთნაირი მდგომარეობა არ არის.

ოფიციალური 70-80-იანი წლების კონკრეტულმა სოციოლოგოურმა გამოკვლევებმა ცხადყო, თავისებურებებით საგრძნობლად განსხვავდებიან, მაგალითად, სოფლის მკითხველები ქალაქის მკითხველებისაგან. სოფლის მკითხველებში განსაკუთრებით შეინიშნება კითხვის სეზონურობა. აგრეთვე წიგნების არაორგანიზებული ურთიერთცვლა — ბიბლიოთეკის გვერდის ავლით. მაგალითად, მკითხველთა 50% აღიარებს, რომ ბიბლიოთეკი



დან წალებული წიგნებით მათი ნაცნობ-მეგობრები და მათი ხელის წევრები და ნათესავებიც სარგებლობენ. ამ გამოკვლევებმა ისიც დაგვანახა, რომ სოფლის მოსახლეობაში კითხვის კულტურის დონე, წიგნისადმი პროფესიული ინტერესი შედარებით დაბალია და საკმაოდ ცალმხრივი — ძირითადად გამოიყენება ლიტერატურა რაღიოტექნიკის, ტრანსპორტის, მექანიზაციისა და ბავშვთა ორგანიზაციების შესახებ.

სოფლის მკითხველი შედარებით უკრიტიკოდ კითხულობს, ახალი თემაზე ერთგვარი სწორხაზოვნება — მოსწონს ან არ მოსწონს წაკითხული. წიგნის შერჩევისას უმეტესად სხვისი რჩევით კმაყოფილდება, ადვილად ეთანხმება სხვის კარნახს.

საინტერესოა, რომ სოფლიად კითხვა ახლა აღარ ითვლება მხოლოდ მამაკაცების პრივილეგიად, როგორც ეს 40-იან წლებამდე იყო. ამჟამად ქალები კიდეც აჭარბებენ რაოდენობრივად მამაკაც მკითხველებს. საინტერესოა ისიც, რომ ამ გამოკვლევების თანახმად, გამოკითხულთა აზრით, ბიბლიოთეკის აქტიური, მუდმივი მკითხველები და ოჯახებული ადამიანები არიან. ეს ფაქტი აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ სოფლის ოჯახებში საკმაოდ გავრცელდა კითხვის ტრადიცია.

იზრდება ისეთი ოჯახების რაოდენობაც, რომლებზე საც საკმაოდ მოზრდილი და საინტერესო პირადი ბიბლიოთეკები აქვთ.



ქალაქებში საბიბლიოთეკო მომსახურება^{უწყვეტესობა} პით მრავალფეროვანი და სრულყოფილია. მოსახლეობა სარგებლობს როგორც სახელმწიფო, ისე საუწყებო-საზოგადოებრივი ქსელისა და სამეცნიერო პიბლიოგრაფია-ბით.

ქალაქის მოსახლეობის მეითხველური თავისებურებების შესწავლის ხელr მოპკიდეს ჩვენი საუკუნის 60-იანი წლებითან. ამჟამად ჩვენ უკვე სრული წარმოდგენა გვაქვს ქალაქის, მეითხველ საზოგადოებაზე. მისთვის, უპრეველეს ყოფლისა, დამახასიათებელია ის, რომ იგი მრავალგვაროვნოვანებურებებისაა. აქ თითქმის ქველა კატეგორიის მეითხველს ვჩვდებით. არ არის ცოდნის ისეთი დარგი, რომლითაც მეითხველები მეტ-ნაკლებად არ ინტერესდებოდნენ. ძალიან სწრაფად იზრდება წიგნისაღმი პროფესიული ინტერესი — მეითხველი წიგნს იყენებს პროფესიული დაოსტატებისათვის.

ქალაქის მოსახლეობის ინტერესთა მიმართულებების გამოკვლევამ ნათლად დაგვანახა მათი ინტერესების სხვადასხვაგვარობა და მრავალფეროვნება. ამასთან ერთად სოციოლოგიურმა გამოკვლევამ ნათელყო მოსახლეობის წიგნით გრანატურების მდგომარეობაც, გვიჩვენა, თუ რა ვითარებაა მეითხველთა საბიბლიოთეკო მომსახურების, მათი წიგნით უზრუნველყოფის, მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების, კითხვის ორგანიზაციის სრულყოფის თვალსაზრისით. უპრეველეს ყოვლისა, თვალში საცემი იყო მოთხოვნილ წიგნზე უარების სიმრავლე. ამ მხრივ მდგომარეობა ნაწილობრივ გამოსწორდა, მაგრამ იგი მაინც რჩება სა-



ბიბლიოთეკი მუშაობის დიდ ნაკლად. ნაკლად მოგვაწინახა
ნია ისიც, რომ მკითხველთა უმრავლესობა არ გაძობის-
ჩენა მრავალდარჯობრივი ინტერესებით, წიგნებს ჯერ
კიდევ ზედაპირულად კითხულობენ, გართობისა და დას-
ვენების მიზნით. ბიბლიოთეკის მომხმარებელთა დიდი
ნაწილი დაუდევრად ეკიდება წიგნს: ხევს, კარგავს, ით-
ვისებს, აგვიანებს მის დაბრუნებას. საერთოდ, ჩვენი
ბიბლიოთეკების ფონდების მხოლოდ ნაწილი თუ გა-
მოიყენება მკითხველების მიერ.

მკითხველთა შესწავლა, რაც ასე აუცილებელია
შოსახლეობის წიგნით უზრუნველყოფისათვის, ჩვენში
ღიგვი ხანი არის, რაც მკვიდრ მეცნიერულ ნიადაგზე
დაფიქ, მიღწეულია საქმიოდ სერიოზული წარმატებე-
ბი, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი
მისი მეთოდოლოგიური თუ ორგანიზაციული სრულყო-
ფისათვის.

ალანიშვნავია ისიც, რომ როგორც მომხმარებლები,
სხვადასხვაგვარ თავისებურებებს ავლენენ, ერთი მხრივ,
მასობრივი ბიბლიოთეკის მკითხველები, მეორე მხრივ,
სამეცნიერო ბიბლიოთეკის მკითხველები. მსობრივი ბი-
ბლიოთეკის მკითხველი — ეს მოსახლეობის უფართოესი
ფენების წარმომადგენელია. მას ძირითადად საგანმანათ-
ლებლო ინტერესები ამოძრავებს, მათ შორის სხვადასხვა
ისაკის, განათლებისა /და შეხელულების, სოციალური
მდგომარეობის, სპეციალობისა და პროფესიის ადამია-
ნები არიან. მათი მკითხველური მიზნები ძირითადად
ახალი, აქტუალური ლიტერატურის კითხვასთან არის
დაკავშირებული. განსაკუთრებით ეტანებიან მხატვრულ
ლიტერატურას. მათში დიდი პოპულარობით სარგებლო-

ბს ახალი პერიოდიყა, შედარებით ნაკლებად არის განვითარებული ძველი გამოცემებით, თითქმის არ იყენებენ გასული წლების უურნალ-გაზეთებს, ბიბლიოთეკაში ხშირად ისე მოდიან, წინასწარ არც კი იციან, რომელი წიგნი უნდათ.

რაც შეეხება სამეცნიერო ბიბლიოთეკათა მკითხველებს, მათი უმეტესობა სხვადასხვა დარგის სპეციალისტია, რომელიც ძირითადად პროფესიული მიზნით კითხულობს. სპეციალისტების 95% სამეცნიერო ბიბლიოთეკებით სარგებლობს. შედარებით ერთგვაროვანია წიგნზე მათი მუშაობის ხასიათი. მათი გულისყური განსაკუთრებულადაა გამახვილებული საინფორმაციო საშუალებებზე. წიგნის შერჩევას უმეტესად ბიბლიოგრაფიული წყაროებისა და დამხმარე აპარატის გამოყენებით ახდენენ, ფართოდ გამოიყენებენ კატალოგებსა და სხვა საძიებო სისტემებს. მათი მოთხოვები წინასწარ განსაზღვრული და კონკრეტულია. მავრამეს მაინც არ ნიშნავს, თითქოს აქ საჭირო არ იყოს კითვის ხელმძღვანელობის აქტიური ფორმების გამოყენება. სამეცნიერო ბიბლიოთეკების მეითხველთა აუდიტორიის 24% საგანმანათლებლო მიზნითაც კითხულობს.

მასობრივი ბიბლიოთეკებისაგან განსხვავებით, სამეცნიერო ბიბლიოთეკებში დიდი მოთხოვნილებაა რეტროსპექტულ ლიტერატურაზე, განვლილი წლების წიგნებსა და უურნალებზე. დამახასიათებელ თავისებურებად შეიძლება მივიჩნიოთ ისიც, რომ აქ ფართოდ გამოიყენება უცხოური ლიტერატურა.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ გაჰყოდა
მკითხველის შესწავლისათვის, არ შეგვიძლია
ვთქვათ, თითქოს სრულყოფილად ვიცნობდეთ მას,
მკითხველის სრულყოფილად შესწავლა კი აუცილებელია
იმისათვის, რომ ნაყოფიერად ვიმუშაოთ მათი გაზ-
რდილი მოთხოვნილების დასაქმაყოფილებლად.

პიბლიოთეკის მუშაობის ორგანიზაცია და მართვა

ბიბლიოთეკები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან
როგორც ტიქებისა და სახეების, ამოცანებისა და დანი-
შნულების მიხედვით, ასევე მოცულობით, სტრუქტუ-
რით, მუშაობის მასშტაბურობითა და მატერიალურ-ტუ-
ჭიკური პირობებით.

ყველა ბიბლიოთეკას თვისებურ პირობებში უხ-
დება საქმიანობა და, ცხადია, შეუძლებელია შეიქმნას
ისეთი მეთოდიკური ფორმები, რომლებიც ერთნაირად
მიესადაგება ყველა ბიბლიოთეკას, დიდსა თუ პატარას,
მავრამ ბევრი რამ მაინც არის ისეთი, რაც ნიშანდობლი-
ვია მთელი საბიბლიოთეკო სისტემისათვის, საგულის-
ხმოა ყველა პიბლიოთეკისათვის.

როგორიც არ უნდა იყოს ბიბლიოთეკა, მისი მარ-
თვა მოითხოვს შრომის სრულყოფილად მოწესრიგებას,
ნაყოფიერ, მიზანშეწონილ საქმიანობას, გეგმიურობას,
ადმინისტრაციული და ტექნოლოგიური დისციპლინის
დაცვას, ქონების მოვლა-პატრონობას, მომუშავე პერ-
სონალის მოქნილ ხელმძღვანელობას. რაც უფრო და-

დია ბიბლიოთეკა, მით უფრო მეტია პასუხისმგებლები, მით უფრო რთულია საქმის გაძლოლა და შრომის ორგანიზაცია.

ბიბლიოთეკის შრომის ორგანიზაცია და მართვა, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის იგი უზრუნველყოფილი ყადრებით.

ბიბლიოთეკისა შრომისა და მართვის ორგანიზაცია, მისი თავისებურება დიდად არის დამოკიდებული ბიბლიოთეკის სტრუქტურაზე. ბიბლიოთეკის ორგანიზაციული სტრუქტურა საქმაოდ რთულია. ჩვენში ბიბლიოთეკების ტიპებად და სახეებად დიფერენცირებასთან ერთად ხდება მსგავსი ბიბლიოთეკების სტრუქტურის უნიფირებაც. ერთი და იგივე ტიპისა და სახის ბიბლიოთეკები, ძირითადად სტრუქტურულად ემსგავსებიან ერთმანეთს. ამ მხრივ სახელმწიფო ბრივი ნორმები და კანონები გარკვეულ ნიველირებას ახდენს, რაც ხელს უწყობს შრომის პირობების გათანაბრებას. მათ ერთმანეთთან დაახლოებას.

სტრუქტურის შექმნას გარკვეული მეცნიერული აზრის შემუშავება უძლვის წინ. არსებობს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საფუძველზე შექმნილი საბიბლიოთეკო სტრუქტურის კლასიფიკაცია. საბიბლიოთეკო სტრუქტურის საკლასიფიკაციო სერმის საფუძვლად იღებენ რამდენიმე ნიშანს: ჯგუფურს, ლინგვისტურს, სახეობითს, დარგობრივს, ფუნქციონალურს ანუ ტექნოლოგიურს, კომბინირებულს.

ჯგუფური ხასიათის დაყოფა გულისხმობს იმგვარა სტრუქტურის შექმნას, როდესაც ბიბლიოთეკაში განყოფილებები მკითხველური ჯგუფების მომსახურების



მიხედვითაა გამოყოფილი (პროფესორ-მასწავლებელთა
განყოფილება, სტუდენტთა განყოფილება, მოზარდთა
განყოფილება, ბავშვთა განყოფილება და სხვ.).

ლინგვისტიკური ხასიათისაა ისეთი სტრუქტურული
დაყოფა, როდესაც განყოფილებები წიგნადი ფონდის
ენობრივი შემადგენლობის მიხედვითაა შექმნილი.

სახეობითი სტრუქტურის ღროს განყოფილებები
იქმნება წიგნადი ფონდის გამოცემათა სახეების მი-
ხედვით (წიგნების, უურნალ-გაზეთების, მუსიკალური
ნაწარმოებების და სხვ.).

დარგობრივი სტრუქტურული ქვეგანაყოფები იქ-
მნება წიგნადი ფონდის დარგობრივი ნიშნის მიხედვით-
ასეთი ქვეგანაყოფები გვხვდება, მაგალითად, ამერიკის
შეერთებული შტატების რამდენიმე ბიბლიოთეკაში,
როგორც შემორჩენილი სისტემა. ასეთი ქვეგანაყოფები
იყო შექმნილი აგრეთვე სსრ კავშირის სახელმწიფო ბიბ-
ლიოთეკაში.

ფუნქციონალური ანუ ტექნოლოგიური განყოფი-
ლებების გამოყოფა ითვალისწინებს წიგნადი ფონდის
დამუშავებას, მკითხველთა მომსახურების და ბიბლიო-
გრაფირების ციკლთა ცალკეულ ეტაპებს. ამ ღროს
ხდება ყველა საწარმოო პროცესის ცენტრალიზება და
ბიბლიოთეკა, როგორი დიდიც არ უნდა იყოს, ერთგვა-
რად თითქოს განუყოფელ მთელად გვევლინება.

კომბინირებული პრინციპით აგებული სტრუქტურა
აქ დასახელებულ ყველა სისტემას აერთიანებს და
სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვაგვარი კომბინაცი-
ების საშუალებას იძლევა. ეს სისტემა ყველაზე მეტადაა



გავრცელებული, რადგანაც სხვა ვერც ერთი უძრავი მოვალეობა ვერ უზრუნველყოფს ბიბლიოთეკების განყოფილების სრულყოფილად დაყოფას.

ბიბლიოთეკების სტრუქტურის საკითხი ჯერ კიდევ არ არის მთლიანად დამუშავებული და ჩამოყალიბებული და შემდგომ მეცნიერულ შესწავლას მოითხოვს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენში შექმნილია სავსებით ურყევი ტრადიცია, რომელსაც სახელმწიფო იცავს და სავალდებულოს ხდის გარკვეულ სტრუქტურულ სქემას. შექმნილია მთელი სისტემა ტიპიური ქვეგანაყოფებისა ამა თუ იმ ტიპისა და უწყების ბიბლიოთეკებისათვის. მაგალითად, არსებობს უნივერსალური სამეცნიერო ბიბლიოთეკების სტრუქტურა, რომელიც სავალდებულოა ამ ტიპის ყველა ბიბლიოთეკისათვის, მაგრამ იმის გათვალისწინებით, თუ ვის რა პოცულობის ფონდი აქვს, მკითხველთა რა რაოდენობა ჰყავს და რა მასშტაბების მუშაობა უხდება. რაც უფრო დიდია ბიბლიოთეკა, ცხადია, მეტი ქვეგანაყოფი ექნება.

საერთოდ, ბიბლიოთეკის სტრუქტურას ქმნიან მისი ქვეგანაყოფები, რომლებიც ამა თუ იმ ბიბლიოთეკაში განყოფილებათა თუ სექტორების სახით არის წარმოდგენილი, როგორიცაა, მაგალითად, დაკომპლექტების, დამუშავების, მომსახურების, წიგნდაცვის, ბიბლიოთეკათშორისი აბონემენტის, აბონემენტის, დარბაზის, მასობრივი მუშაობის, საცნობო-ბიბლიოგრაფიული და სხვა განყოფილებები თუ სექტორები, ზოგ შემთხვევაში — კაბინეტები.

სტრუქტურის შექმნა ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობის ნება-სურვილზე არ არის დამოკიდებული, იგი



ზემდგომი ორგანოების მიერ არის შემოღებულებული დამტკიციბული. ყოველგვარი ცელილება მათთან უნდა შეთანხმდეს. მაგრამ ბიბლიოთეკაზე დიდადაა დამოკიდებული განყოფილებათა ჰარმონიული, ურთიერთშეთანხმებული საქმიანობა, შეწყობილი მუშაობა. იმდენად, განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ ბიბლიოთეკაში მოგვარებული იყოს შრომის მეცნიერული ორგანიზაცია.

შრომის მეცნიერული ორგანიზაცია (შმო) ბიბლიოთეკაში მეცნიერულად დამუშაებულ ორგანიზაციულ, პედაგოგიურ, ტექნიკურ, სანიტარიულ-ჰიგიენურ და სხვ ლონისძიებათა კომპლექსს წარმოადგენს, რომელიც მიზნად ისახავს საბიბლიოთეკო შრომის ეფექტიანობის ამაღლებას მკითხველთა მომსახურების სრულყოფის მისაღწევად. ძირითადად ეს ნორციელდება ტექნოლოგიის სრულყოფის, შემოქმედებითი შრომის პირობების გაუმჯობესების, სამუშაო დროის უკეთ გამოყენების, დისკიპლინის ამაღლებისა და რაციონალიზაციის განვითარების საფუძველზე.

შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საგნად ბიბლიოთეკაში შეიძლება იქცეს ყოველი ოპერაცია თუ პროცესი, რომელიც შემდგომ განვითარებასა და დახვეწის მოითხოვს. იგი შეიძლება შეეხებოდეს ისეთ საქმიანობას, როგორიცაა კადრების კვალიფიკაციის ამაღლება, მათი განაწილება-გადანაწილება, სამუშაოთა ფუნქციონალური განაწილება, კადრის შესაბამისი პროფილური დასაქმება, შრომის პროცესების დიფერენციაცია, შრომის რეჟიმისა და დროის ბიუჯეტის განსაზღვრა, შრომის ნორმირება, დოკუმენტების წარმოების



წესის განსაზღვრა, ტექნოლოგიური ციკლების მიზანით მდინარეობათა დახვეწა, მოწყობილობა-გაფორმების მოგვარება ბიბლიოთეკაში, სამუშაო იარაღების შესატყვა-სობა, შენობა-ნაგებობათა თავისებურებანი, მეოთხელობა მომსახურებაში ახალი მეთოდებისა და ფორმების დანერგვა და მრავალი სხვა.

შრომის მეცნიერული ორგანიზაცია მოწოდებულია მრავალი საჭირობოროტო საკითხი რაციონალურად გადააწყვეტინოს კოლექტივს. მას მოეთხოვება იმგვარად უზრუნველყოს საქმე, რომ შრომა იყოს ნაყოფიერი, ტექნოლოგიური ციკლი — უწყვეტი და თანმიმდევრული, არ ჰქონდეს იდგილი უმიზნო პარალელებსა და გამეორებას, იყოს რაციონალური. საჭიროა, რამდენადც შეიძლება, შემცირდეს დრო შრომითი საქმიანობის აჩა თუ იმ პროცესის შესასრულებლად, დაიზოგოს ენერგია-ამავე დროს შრომა ყველასათვის თანაბრად, ინტენსური უნდა იყოს, ეყრდნობოდეს მეცნიერულად დასაბუთებულ ნორმებს, მიმდინარეობდეს გეგმის შესაბამისობით, წინასწარგამიზნულად, ხოლო არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უზრუნველყოფდეს შრომის წარმადობას, მიმართული იყოს ფიზიკური დატვირთვის შემცირების, შემოქმედებითი საქმიანობის გაფართოებისა და მატერიალურ ფასეულობათა დაცვის სრულყოფისაკენ, იწვევდეს დისკიპლინის განმტკიცებას, გაწეული შრომის აღნუსხვა-ანალიზის ხელშეწყობას. შრომა უნდა იყოს მაქსიმალურად ეკონომიკური.

შრომის მეცნიერულად სწორი ორგანიზაცია დიდადა დამოკიდებული შრომის ნორმირებაზე. ნორმირება აუცილებელია შრომის მოცულობის, შრომატევადობის,



შესრულების ვადების, აგრეთვე ამა თუ იმ სამუშაოების საჭირო კონტინგენტის განსაზღვრისათვის. ნორმირების მეშვეობით ვადგენთ, ამა თუ იმ სამუშაოს რა მოცულობის შესრულება შეუძლია მუშავს განსაზღვრულ დროში. ჩვენში ეს ნორმები სახელმწიფოს მიერ არის დადგინდილი სხვადასხვა ტიპის ბიბლიოთეკებისათვის და სავალდებულოა მათთვის. მაგალითად, მასობრივი ბიბლიოთეკებისათვის შემოლებულია „ბიბლიოთეკების მიერ შესრულებული სამუშაოების დროის ტიპიური ნორმები“, რომელიც დამტკიცებულია სსრ კიბირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტისა და პროფესიული კავშირების საკავშირო ცენტრალური საბჭოს მიერ.¹ მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ნორმების გამოყენებას შემოქმედებითად არ მიუღებეთ. აქაც გასათვალისწინებელია ადგილობრივი პირობები. ზოგ შემთხვევაში საჭირო ხდება ნორმების კორექტირება იმიტომ, რომ არ გავვაჩნია სტანდარტული პირობები. მაგალითად, სამუშაო ადგილი შრომისათვის მოუხერხებელია, თაროები მაღალია, ჰაერი მძიმეა, ზედმეტ სინოტივე ან სიმშრალეა, ჰიგიენური ნორმები დარღვეულია და ა. შ.

ნორმების დადგენა სხვადასხვაგვარი მეთოდებით ხდება. არსებობს ე. წ. ჯამობრივი ანუ საცდელ-სტატისტიკური მეთოდი, რომლის მიხედვითაც შეიძლება დადგინდეს საშუალო სტატისტიკური სიდიდე. მაგალითად, თუ 150 საათში შესაძლებელია 1500 დასახელების წივ-

¹ Организация работы централизованной библиотечной системы. 2-е изд., испр. и доп. — М., 1985.

ნის აღწერა, მაშინ ნორმა შეადგენს საათში სკანდიულოდ 10 წევს (1500:150). ამ სისტემას ჩვენს ბიბლიოგრაფიულ ბში დიდი გამოყენება აქვს. ორის მთელი რიგი სამუშაოებისა (საცნობო-ბიბლიოგრაფიული, ინფორმაციული, მასობრივი ლონისძიებები და სხვ.), რომელთა ნორმარტივებიც მხოლოდ ამგვარი მეთოდით უნდა განისაზღვროს.

რაც შეეხება მეორე მეთოდს — ანალიტიკურს ანუ ელემენტობრივს, მას იყენებენ იმ შემთხვევაში, როდესაც ზედმიწევნით ზუსტი ნორმების დადგენაა საჭირო. ეს ხდება ყოველგვარი სამუშაო პროცესის დეტალური შესწავლით, ყველა ოპერაციის გათვალისწინებით, იმის გაანგარიშებითაც კი, თუ რა დრო იხარჯება ერთი სამუშაოდან მეორეზე გადასვლისათვის. მაშასადამე, მთელი საქმიანობის ყოველი ელემენტი შესწავლება ცალ-ცალკე. ეს ხდება სხვადასხვა ხერხის გამოყენებით, მაგრამ ყველაზე ოპტიმალურად მიღებულია მუშაკზე უშუალოდ დაკვირვებისა და მის მიერ შესრულებული სამუშაოს ზუსტი აღნუსხვის ხერხი. ასეთ ხერხს განეკუთვნება, მაგალითად, „შრომითი დროის ფოტოგრაფია“ ან „თვითფოტოგრაფია“. როცა მთელი დღის შრომითი საქმიანობა დეტალურად აღინუსხება. არსებობს ავრეთვე დაკვირვების სხვა ხერხი, რომელიც დროის ერთ რომელიმე მონაკვეთში წარმოებულ პროცესს აღნუსხავს და შემდეგ ხდება მისი განხოგადება, საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშება. მიმართავენ ე. წ. ქრონომეტრაჟით გამოანგარიშების წესსაც, როცა აღინუსხება მუშაკის შრომითი მოქმედების ყოველგვარი მოძრაობა ზუსტა.

შეტრავითა და დროით. ეს უმეტესად გამოიყენება ფლანკის ბიბლიოთეკებში და მისი განხოგადება არ ხდება მარტინ ლინკის მიერ შემოღებული წერილი გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ იქ, სადაც ის იქნა შემუშავებული, თუმცა, როგორც საწყისი სიდიდეები, შეიძლება მაგალითის სახით სხვაგანაც გამოდგეს.

შრომის მეცნიერული ორგანიზაცია მოითხოვს შრომითი პროცესების, ფუნქციების მიზანშეწონილ ჯანაწილებას თანამშრომელთა შორის. პრინციპულად აუცილებელია, ბიბლიოთეკის ყველა თანამშრომელი და ახლოებით თანაბრად იყოს დატვირთული, ამავე დროა ყველამ ზუსტად უნდა იცოდეს თავისი მოვალეობა, რაც სათანადო ინსტრუქციაში იქნება ასახული.

შრომის განაწილება იმგვარად უნდა მოხდეს, რომ ხელს არ უშლიდეს მუშაობის პარმონიულად წარმართვეს, ტექნიკური პროცესის უწყვეტ და სწორხაზოვან განვითარებას, დაგვენილ თანმიმდევრობას. ეს არ უნდა იწვევდეს რაიმე შეფერხებას, წინააღმდეგობას ციკლებს შორის და მუშაკთა ურთიერთობაში.

ჩვენი ბიბლიოთეკები მთელ თავიანთ საქმიანობას, ყოველგვარ შრომით პროცესს ყოველდღიურად აღნის-ხვენ და აჯამებენ: ამის მიზანია, სრულყოფილი წარმოდგენა ვიქენიოთ შესრულებული სამუშაოს მოცულობაზე, გეგმის შესრულების მიმღინარეობაზე, რათა მოვეცეს მდგრადარეობის შეფასებისა და გეგმის ნიველირების, მისი შემდგომი დაზუსტებისა და ამოცანების განსაზღვრის საშუალება. აღრიცხვა წარმოადგენს არა მარტო რაოდენობრივი მაჩვენებლების თავმოყრას, არამედ მის ანალიზსაც, რის ბაზაზეც ხდება ძირითადი



ხარისხობრივი მაჩვენებლის, გაწეული შრომში მომდევნებული ტისა და ბიბლიოთეკის მუშაობის დონის განსაზღვრა-ჩვენში სხვადასხვა სახის აღრიცხვა წარმოებს: ოპერატიული, საბუღალტრო და სტატისტიკური.

ოპერატიული აღრიცხვა ფაქტების აღნუსხვაა, რაც ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობისა და მართვის აუცილებელი პირობაა. აյ იგულისხმება ჩატარებული სამუშაოს აღრიცხვა, ნორმებისა და გეგმების შესრულების აღრიცხვა, სამუშაოზე გამოცხადებისა და წასვლის აღრიცხვა (სატაბელო აღრიცხვა), მიღებული წიგნების მოძრაობის აღრიცხვა საინვენტარო თუ ჯამობრივი აღრიცხვის წიგნში, წიგნადი ფონდის შემოწმების დროს და სხვ.

საბუღალტრო აღრიცხვა ახდენს ფულადი სახსრების ბრუნვის ფიქსირებას, აწარმოებს მათი შემოსვლისა და ხარჯვის კონტროლს, მეთვალყურეობის ფინანსურ დისციპლინას. იგი დადგენილი სახელმწიფო კანონის მიხედვით წარმოებს და საბიბლიოთეკო მეთოდიკას არ ექვემდებარება.

რაც შეეხება სტატისტიკურ აღრიცხვებს, ეს არის ფაქტების რეგისტრაცია, მათი დაანგარიშება და რაოდენობრივი დახასიათება. მისი მიზანია ბიბლიოთეკის მოღვაწეობის შესწავლა, გამოცდილების განზოგადება, გაწეული შრომის შეფასება, დახმარება შემდგომი ლონისძიებების შემუშავებისა და გეგმების დასახვის საქმეში. ამას ემსახურება, მავალითად, ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტების წარმოება, როგორიცაა ბიბლიოთეკის დღიური, ფონდის მოძრაობის წიგნი და სხვ.

სტატისტიკური აღრიცხვა სავალდებულოა ყველა



ბიბლიოთეკისათვის. ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნებულებაშია
მის მიმართ წარმოადგენს ის, რომ იგი ერთ ქსელში
შემავალი ყველა ბიბლიოთეკისათვის ერთგვაროვანი
იყოს. ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ არსებული ინს-
ტრუქციების ზუსტად დაცვით. ამ ინსტრუქციებში სა-
განგებოდაა მოცემული სააღრიცხვო ფორმები, რომლე-
ბიც საფალდებულოა ამ ქსელში შემავალი ყველა ბიბ-
ლიოთეკისათვის. მართალია, სხვადასხვა სისტემის ბიბ-
ლიოთეკებს, განსაკუთრებით დიდ სამეცნიერო ბიბლი-
ოთეკებს, თავიანთი ინსტრუქციები და ფორმები
აქვთ შემუშავებული, მაგრამ ისინი პრინციპულად მა-
ინც ცენტრალიზებული სისტემის ბიბლიოთეკებისათვის
ოფიციალურად დატკიცებული ინსტრუქციებიდან გა-
მომდინარეობენ!

ჩვენს ბიბლიოთეკებში ყველა სახის აღრიცხვა უმ-
თავრესად შერწყმული სახით გამოიყენება, ისე რომ
ძნელია ზღვარის დაღება, ოპერატიულ, სტატისტიკურ
აღრიცხვის მონაცემებს შორის. ეს გამოწვეულია იმით,
რომ ბიბლიოთეკა ძალიან რთული ორგანიზმია, საღაც
მრავალი მიმართულების საქმიანობა სწარმოებს — ორ-
განიშვაციული, საფინანსო, პედაგოგიკურ-აღმზრდელო-
ბითი, იდეოლოგიური, ტექნიკური.

საბიბლიოთეკო აღრიცხვა ბიბლიოთეკის ანგარი-
შის საფუძველს წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით გან-
საკუთრებულ როლს თამაშობს დოკუმენტებში მოცემუ-
ნებისა და ფაქტების შრომის პროცესების შესრულე-

1 Организация работы централизованной библиотечной системы. 2-ое изд., испр. и доп. — М., 1985.

ბისთანავე აღრიცხვის მომენტი. აღრიცხვას, უსტურებული ფაქტიურად მუშაობის შესრულებისთანავე წარმოებს, პირველად აღრიცხვას უწოდებენ. ბიბლიოთეკებში პირველადი ოპერატორული აღრიცხვა წარმოებს დადგენილი ინსტრუქციების მიხედვით.¹ ამ ინსტრუქციების დანართებში მოცემულია ნუსხა იმ პროცესებისა, რომლებიც სავალდებულოა აღირიცხოს ცენტრალურ საბიბლიოთეკო სისტემაში.

ბიბლიოთეკის ორგანიზაციული საქმიანობის ძირითადი მომენტია ანგარიშება. იგი ერთგვარ საფეხურებრივ სახეს ატარებს. ბიბლიოთეკის ყველა მუშავი ანგარიშვალდებულია მათი უშუალო ხელმძღვანელის წინაშე, სერტორები და განკოფილებები ანგარიშვალდებულნი არიან ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობის წინაშე, ეს უკანასკნელი კი — ზემდგომი ორგანიზაციის წინაშე.

მაგრამ ანგარიშება თვითმიზანი როდია. მან უნდა მოვცვეს საშუალება განვსაზღვროთ, როგორ სრულდება გეგმა, სად გვაქვს წარმატებები, სად ჩავარდნები, დაგვეხმაროს გავარცვიოთ, როგორია შრომის ინტენსივობა, საჭირო ხარისხი და ლონე, დავადგინოთ შეფერხების მიზეზები, განვსაზღვროთ სამომავლო ლონის-

1. ცენტრალიზებული ბიბლიოთეკებისათვის იხ. დასახელებული წიგნი, საოლქო ბიბლიოთეკებისათვის — Техника работы областной библиотеки. Инструкц. и метод. указ. 2-е изд., испр. и доп. — М., 1970; სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკებისათვის — Организация работы научно-технической библиотеки. Метод рекомендации, 4-е изд., перераб. и доп. — М., 1979.

ძიებები, დავსახოთ გეგმები. ამდენად, ანგარიშის მოადგენს არა მარტო რაოდენობრივ, არამედ ხარისხობრივ, თვისობრივ მაჩვენებელს.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება შემჩნეული ნაკლის დროულად აღმოფხვრას. ამიტომ საჭიროა პირველად აღრიცხვაზე გამუდმებული ოპერატიული მეთვალყურეობა, რაც ყველაზე მოსახერხებელია სწორედ მოკლე პერიოდებში წარმოდგენილი ანგარიშების. საშუალებით. ბიბლიოთეკის ყველაზე მცირე ერთეულები უნდა ადგენდნენ ყოველთვიურ სტატისტიკურ ანგარიშებს, რაც მათ საშუალებას გიცემს ოპერატიულად შეაფასონ გეგმის შესრულების მიმდინარეობა, რომ კვარტლის ბოლოს საჭიროების შემთხვევაში სწრაფად შეძლონ მისი რეგულირება-ნიველირება. კვარტლის შედეგების ანალიზის საფუძველზე ისახება შემდგომი პერიოდის მოქმედების ვეგმები, რომ ოპერატიულად მივიღოთ ზომები, რათა არ გვექნეს გარღვევა წლიური გეგმის შესრულებაში. ანგარიშები შეიძლება შედგეს ნახვარი წლის ფარგლებშიც.

ამ ანგარიშებს, ჩვეულებრივ, მიმდინარე ანგარიშებს უწლიდებენ, რომელთა გაზაზე შემდგომ დგება ე. წ. წლიური ანგარიში.

სსრ კავშირში ბიბლიოთეკებისათვის შემოღებულია წლიური ანგარიშების ერთიანი სისტემა, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სტატისტიკური აღრიცხვის სახელმწიფო კომიტეტის მიერ. ამასთან ერთად არსებობს სახელმწიფო სტანდარტები, რომლებშიც მითითებულია აღრიცხვის ერთეულთა დადგენილი დასახელებანი. წლიური

ანგარიშების სახელმწიფო სტანდარტი უველაყოფილია-
ვალდებულოა, მოცემული ფორმა ზუსტად ჟურნალური
ცვალ, მაგრამ, მეთოდიკური თვალსაზრისით, ერთი სი-
სტემისა თუ ქსელის შიგნით დასაშვებია უმნიშვნელო
გადახრებიც.

წლიურ საბიბლიოთეკო ანგარიშს სახელმწიფოებ-
რივი მნიშვნელობა აქვს და მისი წარმოება აუცილებე-
ლია იმ წესით, რაც დადგენილია ხელისუფლების ორ-
განოების მიერ. ჩვეულებრივ, მასობრივ ბიბლიოთეკებ-
ში წლიური ანგარიში ძირითად ანგარიშად ითვლება.
იგი ორ ნაწილად აიგება: ინფორმაციული (უწოდებენ
აგრეთვე საწარმოო, თემატურ ან ტექსტობრივს) და
სტატისტიკური. საშეცნიერო ბიბლიოთეკების ანგარიშ-
ება ხდება როგორც. სსრ კავშირის სტატისტიკის სა-
ხელმწიფო კომიტეტის მიერ დადგენილი წესის მიხედ-
ვით ხუთ წელიწადში ერთხელ, ასევე უწყების მიერ
შემუშავებული წესების თანახმადაც, იმის მიხედვით,
თუ სად როგორ არის ეს მიღებული.

ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის (ცსს)
ანაგრიშება წარმოადგენს როგორც მთელი სისტემის,
ასევე ამ სისტემაში შემავალი ცალკეული რჯოლების
ღახსიათებას. ბიბლიოთეკა-ფილიალები ადგენენ ცენ-
ტრალური ბიბლიოთეკის (ცბ) მიერ შემუშავებული
სქემის მიხედვით როგორც სტატისტიკურ, ასევე ინ-
ფორმაციულ ანგარიშებს და წარუდგენენ მას ცენტრა-
ლურ ბიბლიოთეკას, რის საფუძველზეც ეს უკანასკნე-
ლი ადგენს ერთიან ანგარიშს.

სწორად შედგენილი ანგარიში, მისი ზუსტი ანა-
ლიზი და მოცემული შედეგების მეცნიერულად გან-

ზოგადება, სათანადო დასკვნების გამოტანა ძირითადად განაპირობებს კიდეც ბიბლიოთეკის წარმატებულ მიანობას. სხვაგვარად შეუძლებელიც არის სწორად განისაზღვროს სამოშავლო ამოცანები და ლონისძიებანა, შემუშავდეს ზუსტი და მეთოდიკურად გამართული სამუშაო გეგმა.

საბიბლიოთეკო გეგმები სხვადასხვაგვარია. შესრულების ვადების მიხედვით შეიძლება იყოს: პერსპექტიული (როცა ხანგრძლივი დროით იგეგმება სამუშაოები — ათი და მეტი წლით), შუალედური (როცა პერსპექტიული გეგმის მხოლოდ რომელიმე მონაცვეთს შეიცავს — სამი-ხუთი წელი) და მიმღინარე (როცა იგეგმება ერთი სამუშაო წელი ან მის ფარგლებში შემავალი ვადები — ნახევარწლიური, კვარტალური, თვიური).

სამუშაო გეგმები ასახავენ როგორც მთელი ბიბლიოთეკის, ასევე მისი ცალკეული რგოლის, ქვეგანაყოფის საქმიანობას, თითოეული თანამშრომლის მუშაობის პროცესსაც კი.

ბიბლიოთეკის წლიური სამუშაო გეგმა მტკიცდება ჯემდგომი ორგანოს მიერ. მისი შესრულება სავალდებულოა სახელმწიფოებრივად დადგენილი წესით. იგი წარმოადგენს ძირითად დოკუმენტს, რომლის მიხედვათაც აგებს ბიბლიოთეკა მთელ თავის საქმიანობას.

წლიური სამუშაო გეგმის შედგენა საქმიანოდ რთული და შრომატევადი საქმეა. ამიტომ იგი დგება ახალ წლამდე 2-3 თვით აღრე, წინა წლის გამოცდილების საფუძველზე, მიღწევებისა და ხარვეზების გათვალისწინებით. რაც შეეხება პირველად (საწყის) დაგეგმვას, ე. ი. როდესაც გეგმა პირველად დგება, საკონტროლო რიც-

ხობრივი მონაცემები დაიანგარიშება ბიბლიოთეკის სა-
შტატო ერთეულის, მატერიალურ-ტექნიკური დანაშაული
არსებული ნორმატივების მიხედვით. ეს საკმაოდ რთულ
მუშაობას მოითხოვს.

ერთი და იგივე ტიპის ბიბლიოთეკათა სამუშაო გე-
გმები ერთიანი სქემის მიხედვით დგება წლიური გეგმის
სტრუქტურა და ანგარიშის სტრუქტურა, რამდენადაც
შეიძლება, უნდა ემსგავსებოდნენ ერთმანეთს აგებუ-
ლებით, საგეგმო მაჩვენებელთა თანმიმდევრობითა და
დაჯგუფებით, რომ ადვილი იყოს გეგმის მაჩვენებელთა
ზრდისა თუ შესრულების თვალყურის დევნება, კონტ-
როლი და ანალიზი.

გეგმის სტრუქტურის უნიფიკაცია არ ნიშნავს, რომ
გეგმები, ისევე როგორც ანგარიშები, შაბლონურად ავ-
გოთ. პირიქით, ერთიანი სქემის არსებობის შემთხვევა-
ში დასაშვებია გეგმები იყოს ინდივიდუალური, მასში
შევიდეს ის განყოფილებები და თემები, რომლებიც ამა-
თუ იმ ბიბლიოთეკისათვის არის დამახასიათებელი.

ძირითადად გეგმა საშუალებას უნდა იძლეოდეს
გავარკვიოთ: რა სამუშაოები უნდა შესრულდეს, რა
მოცულობით, რომელ ვადებში, ვინ არის პასუხისმგებე-
ლი მის შესრულებაზე, ვის ევალება ამა თუ იმ სამუშა-
ოს შესრულება. გეგმაში, როგორც წესი, შედის აგრეთ-
ვე იმგვარი სამუშაოები, რომლებიც თემატურად უნდა
იყვნენ განსაზღვრულნი. ამგვარი სამუშაოებია, მაგა-
ლითად, ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები, მკითხველთა
კონფერენციები, თემატური საღამოები და სხვადასხვა
სახის მასობრივი ღონისძიებანი. ამგვარად, საქმარისი არ
არის გეგმაში მხოლოდ საკონტროლო რიცხვების შე-

ტანა, საჭიროა კონკრეტული თემატიკის ჩვენებაც, თუ
რას მიეძღვნება ესა თუ ის ღონისძიება. ზოგ შემთხვევა
ვაში თემატიკას უშუალოდ გეგმაში შეიტანენ ხოლმე
სამუშაოს ჩამოთვლის დროს, ზოგჯერ კი მისთვის ცალ-
კე გრაფისაც კი გამოყოფენ, მაგრამ ეს მეტისმეტად
ზრდის სქემას, მოცულობა ფართოვდება და გეგმა გა-
მოსაყენებლად, თვალყურის მისაღევნებლად მოუწენელი
ხდება. ამიტომაც მიზანშეწონილად მიაჩნიათ თემატური
გეგმის ცალკე გამოყოფა და დამატების სახით სტატის-
ტიკურ გეგმაზე დართვა. ამგვარად, მივიღებთ სამნაწი-
ლიან გეგმას: 1) შესავალი — ძირითადი მიმართულე-
ბანი, უმთავრესი ამოცანები, 2) სტატისტიკური გეგმა —
ძირითადი რაოდენობითი მაჩვენებლები, 3) თემა-
ტური გეგმა — ჩასატარებელ ღონისძიებათა თემატიკა.

ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის წლი-
ური გეგმა დგება ცალკეული ფილიალების სამუშაო
ვეგმათა საფუძველზე, აღნიშნული გეგმა ეგზავნება ცენ-
ტრალურ ბიბლიოთეკას ახალი წლის დამდეგამდე ერთ-
თვით აღრე იმ სქემის მიხედვით, რომელიც შემუშავ-
ბული აქვს ამა თუ იმ ცენტრალიზებულ სისტემას.

ბიბლიოთეკის მუშაობის ორგანიზაციისათვის გარ-
კვეული მნიშვნელობა აქვს დაფინანსების სრულყოფ-
ლად წარმართვას.

სსრ კავშირში ბიბლიოთეკებს სახელმწიფო აფინან-
სებს, ხარჯების გარკვეული წილი თავს იდევს პროფ-
კავშირულმა და სხვა საზოგადოებრივმა ორგა-
ნიზაციებმაც. ამჟამად ბიბლიოთეკებზე წლიურად



გაწეული მთელი ხარჯების 90% სახელმწიფო ბიბლიოთის
საერთოდ¹.

ბიბლიოთეკების მიერ ფინანსების ათვისება ხდება მკაცრად დადგენილი წესებისა და კანონების მიხედვით. ყოველ ბიბლიოთეკას აქვს თავისი ხარჯთაღრიცხვა, რომელშიც კონკრეტულადაა გათვალისწინებული არა მარტო თანხის რაოდენობა, არამედ ისიც, თუ რამდენი რაში და როდის უნდა დაიხარჯოს. ხარჯთაღრიცხვაში მხედველობაშია მიღებული ყველა ხარჯი, რაც უნდა გასწიოს ბიბლიოთეკამ წიგნების შეძენისა თუ სხვა საქმიანობისათვის, როგორიცაა ბიბლიოთეკის ტექნიკური აღჭურვა, ინვენტარისა და მოწყობილობების დამზადება, რემონტი, მუშაյების ხელფასით უზრუნველყოფა და სხვ. ამრიგად, ბიბლიოთეკამ წლის დასაწყისშივე იცის, რა თანხები იქნება მის განკარგულებაში და როგორ უნდა მოახდინოს მათი რეალიზაცია-ათვისება. ცენტრალიზებულ საბიბლიოთეკო სისტემაში ხარჯთაღრიცხვაც ცენტრალიზებული წესითაა მოგვარებული.

ხარჯთაღრიცხვა ერთდროულად ფინანსური გეგმაც არის და გამოყოფილი სახსრების დოკუმენტიც. ის დამტკიცებულია ზემდგომი ორგანიზაციის მიერ და არ ექვემდებარება არავითარ შესწორებასა და დამატებებს ამ ორგანოს ნებართვის გარეშე. ხაჭთაღრიცხვის ასეთი მტკიცე სისტემა ხელს უწყობს საქმის ეკონომიკურად წარმართვას, მომჟირნეობასა და ყაირათიანობას. საერთოდ, ბიბლიოთეკა საკმაოდ ძირიადლირებული დაწე-

¹ И. М. Фрумин. Библиотечное дело. Организация и управление. 2-е изд. перераб. и доп. Учебник. — М., 1980, с. 155-156.

სებულებაა და ამდენად აქ განსაკუთრებული უყურებელი ლებით უნდა მოვეკიდოთ ეკონომიკურ პოლიტიკას. ამიტომაც არის, ესოდენ მნიშვნელოვნად რომ იქცა საბიბლიოთეკო ეკონომიკის კვლევა. ბიბლიოთეკათმცოდნეობაში მომუშავე სპეციალისტთა საქმაოდ დიდი ნაწილი ამჟამად სპეციალურად მუშაობს საბიბლიოთეკო ეკონომიკის საკითხებზე, ამუშავებს პრობლემებს, იძლევა რეკომენდაციებს, ქმნის საბიბლიოთეკო ეკონომიკის მაჩვენებელს. — ეკონომიკური ეფექტის განმსაზღვრელ ფორმულას.

ბიბლიოთეკათმცოდნეობაში ერთიანი საბიბლიოთეკო ეკონომიკური მაჩვენებლის შექმნაზე ზრუნვა ახალი როდია. მასზე დიდი ხანია მუშაობენ და რამდენიმე ფრიად საინტერესო ფორმულაც შეიქმნა, მაგრამ ჯერჯერობით არც ერთი მათგანი არ შეიძლება მივიჩნიოთ სრულყოფილად.

ეკონომიკური მაჩვენებელი ბიბლიოთეკის შრომითი, მატერიალურ-ტექნიკური (შენობა, მოწყობილობა) და ფულადი რესურსების გამოყენების ეფექტურობის დამახასიათებელი რიცხობრივი სიდიდეა. იგი გვიჩვენებს, რამდენად ეკონომიკურია ამა თუ იმ ბიბლიოთეკას შრომა, რომელი ბიბლიოთეკა როგორ შედეგს აღწევს ამ მხრივ, როგორია შრომის ნაყოფიერება, ერთი სიტყვით, როგორ ეკონომიკურ ეფექტს ვაღწევთ.

ეკონომიკური მაჩვენებლის განსაზღვრისათვის სპიროა არსებობჭეს გარკვეული კრიტერიუმები, რომლებიც საშუალებას მოვაცემს, შევიმუშავოთ ერთიანი ფორმულა. ამ შრობლემაზე ბევრი აზრი გამოითქვა (კ. მ. რომანოვსკაია, მ. ვ. კირიუხინი, ა. ბ. კაცი, ი. მ. ფრუ-

მინი), ამ საკითხზე მუშაობდა აგრეთვე ცნობილი ქართველი ბიბლიოთეკათმცოდნე ნ. გ. ლორთქიფანიძეც. მიუხედავად მრავალი ცდისა, ვერ მოხერხდა საყოველთაო, უნივერსალური ფორმულის შემუშავება.

მეცნიერთა აზრი ძირითადად ორად იყოფა: ერთი თვლიან, რომ ბიბლიოთეკის ეკონომიკური მაჩვენებელი შეიძლება ერთი რიცხვით (ნიშნით) გამოიხატოს, მეორენი კი მიიჩნევენ, რომ ეკონომიკური მაჩვენებლის გამოსახვა უნდა მოხდეს რამდენიმე ნიშნის მიხედვით.

არსებობს ეკონომიკური მაჩვენებლის გამოხატვის ნომინალური ხერხიც, როცა პირდაპირ სტატისტიკური მაჩვენებლების ანალიზით შემუშავდება გარკვეული აზრი ამა თუ იმ ბიბლიოთეკის ეკონომიკურ მაჩვენებელზე. ან გამოიყენება შედარებითი სიდიდეები — ერთი მაჩვენებლის შედარება მეორესთან, პროცენტული შეფარდება და სხვ. ეს საშუალებას იძლევა დაახლოებით გავერკვეთ ბიბლიოთეკის შრომის ეკონომიკურ შედეგებში.²

30-იან წლებში სსრ კავშირში დაწერეს ე. წ. ბიბლიოთეკის მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლები. საქართველოში ამ საქმის ინიციატორები იყვნენ ი. ცაცაშვილი, ნ. მარკევიჩი, ნ. ლორთქიფანიძე.

¹ И. М. Фрумин. Библиотечное дело. Организация и управление. 2-е изд., перераб. и доп. Учебник. — М., 1980, с. 168-173; ² ბ. ლორთქიფანიძე. ბიბლიოთეკის მუშაობის დაგეგმვა, — თბ., 1969, გვ. 14—16.

2. დაწვრილებით საბიბლიოთეკო ეკონომიკის საკითხებზე იხ.: ფ. ყურაძეილი. საბიბლიოთეკო საქმის ეკონომიკა. სასწ.-მეთოდ. სახელმძღვ. — თბ., 1985.

ბიბლიოთეკის ხარისხობრივი მაჩვენებლის გაშოყენება თითქმის ყველგან დამკვიდრდა. იგი დღესაც წარმატებით გამოიყენება ანგარიშებისა და ფეგმების წარმოების დროს. ასეთებია, მაგალითად, კითხვის კოეფიციენტი, ბრუნვის კოეფიციენტი, ჩაბმის კოეფიციენტი და სხვ. განსაკუთრებით საგულისხმო იყო ინტენსივობის კოეფიციენტი, რომელიც გამოხატავდა ამა თუ იმ ბიბლიოთეკის ინტენსივობის ხარისხს. მართალია, ის არ ვაიჩვენებდა ბიბლიოთეკის ექონომიკურ სურათს, მაგრამ საშუალებას გვაძლევდა განგვეუსაზღვრა და შეგვეღარებინა ერთი ბიბლიოთეკის შრომითი საქმიანობა მეორესთან!¹

მისი საყოველთაო აღიარება, როგორც ერთიანი მაჩვენებლისა, დღემდე ვერ მოხერხდა. მართალია, ეს მაჩვენებელი ძალიან მარტივი და მოქნილია, მაგრამ იგი გამოიყენება მხოლოდ ორი ძირითადი მაჩვენებლის — კითხვადობისა და ბრუნვის კოეფიციენტების — ნამრავლით, რომელთაც მიიჩნევენ ბიბლიოთეკის ხარისხობრივი მაჩვენებლების ძირითად განმსაზღვრელებად. ამჟამად მას არ თვლიან ბიბლიოთეკის მთელი საქმიანობის გამომხატველ მაჩვენებლად. ცხადია, როცა ბიბლიოთეკის მუშაობის საერთო დონის გამომხატველად მხოლოდ და მხოლოდ კითხვის მომენტია აღებული და სხვა არაფერი, შეიძლება ისე მოხდეს, რომ ერთი პატარა ბიბლიოთეკა, რომელიც სავსებით უმნიშვნელო შრომს ეწევა, ამ შედეგების მიხედვით, უკეთესად მივიჩნია.

1. 6. ლორთქიფანიძე. საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზაცია. ნაწ. 1. — თბ., 1940.

ოთ, ვიდრე მეორე, სადაც ფონდი დიდია, მეცნიერებული ინტერატურა ჭარბობს და წიგნბრუნვა არ არის ისეთი ინტენსიური, მაგრამ დიდი ხვედითი წონა მოდის ინფორმაციულ, ბიბლიოგრაფიულ საქმიანობაზე.

ერთიანი, ე. შ. ნაკრები ინდექსის შექმნას ბევრი სიძღველე ახლავს. ერთია ის, რომ კარგ მაჩვენებლად ითვლება ისეთი ეკონომიკური მაჩვენებელი, რომლის რიცხობრივი გამოსახულება რამდენადაც შეიძლება დაბალია. მაგალითად, ერთი უმჯობესია ორზე, ორი — სამზე და ა. შ. ეს ნიშნავს, რომ ბიბლიოთეკაში ხარჯები შემცირებულია. რამდენადაც დაბალია მაჩვენებელი, იმდენად უკეთესია რადგანაც ბიბლიოთეკის ეკონომიკურად უმუშავია. ამ შემთხვევაში გამოდის ისე, რომ იქ. სადაც დაზოგავენ თანხებს, ნაკლებად შეიძენენ წივნებს, არ გააკეთებენ რემონტს, შრომის ეკონომიკური მაჩვენებელი უმჯობესი იქნება. ასე რომ არ მოხდეს, საჭიროა ისეთი მაჩვენებლის მიგნება, რომელიც, ერთი მხრივ, სახსრების ათვისების სურათსაც მოგვცემს, მეორე მხრივ, სახსრების დაზოგვის სურათსაც.

როგორც ვხედავთ, ეკონომიკური მაჩვენებლის გაანგარიშება, მისი გამოხატვა ერთ სიმბოლოში, ერთიანი ფორმულის შექმნა მეტად ძნელი საქმეა.

ერთი შეხედვით შეიძლება მოვცეჩვენოს, რომ ყოველივე ამას წმინდა თეორიული მნიშვნელობა აქვს და მისი დანერგვა პრაქტიკაში სავალდებულო არ არის. თუ გვსურს, ბიბლიოთეკის მუშაობა შრომის მეცნიერულ ორგანიზაციაზე დავათუუძნოთ, არ შეიძლება ეკონომიკური მაჩვენებლის უგულვებელყოფა. ეკონომიკურ გაანგარიშებებსა და ანალიზს, შრომის ეფექტურობას

სწორ შეფასებას, შრომის ხარისხის განსაზღვრას უწოდება მაზარი მნიშვნელობა აქვს ბიბლიოთეკაში შრომის მაღალწარმადულად ორგანიზაციისათვის, მისი რაციონულიზაციისა და ნაყოფიერებისათვის.

როგორც ვხედავთ, ბიბლიოთეკა საკმაოდ რთული ორგანიზმია. იგი არა მარტო წიგნი და მკითხველია, არა მარტო მრავალი მომუშავე პერსონალი და რთული აღმინისტრაციული სტრუქტურული სისტემაა, არამედ არანაკლებ რთული მოწყობილობა და ნაგებობაც არის, რომლის დასაპროექტებლად სათანადო არქიტექტურული კანონზომიერებანიც კი არსებობს. ამ საკითხებთან დაკავშირებით მთელი თეორიებია შექმნილი, სპეციალური მიმართულებებია ჩამოყალიბებული, უძრავი მეცნიერული ლიტერატურა არსებობს ჩვენში თუ უცხოეთში. არაერთი მოსაზრებაა იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ბიბლიოთეკა, მისი ნაგებობა, მოწყობილობა, ავეჯი, კედლების შეფერილობა, განათება, გაფორმება, როგორ უნდა დავიცვათ იგი დაზიანებისა და ხელყოფისაგან. ამ საკითხების მოსაგვარებლად საჭიროა მაღალი ორგანიზებულობა, შრომითი პროცესების გამუდმებული დახვეწია და სრულყოფა. მაგრამ ორგანიზაციული საქმიანობა ამით როდი შემოიფარგლება. ყველაზე ძნელი, რაც ორგანიზაციულ სირთულეებთანაა დაკავშირებული, არის მკითხველი აუდიტორიის მომსახურების მოწესრიგება. მომხმარებელთან გამუდმებული კონტრაქტები ზუსტ და შეწყობილ საქმიანობას მოითხოვს. ამ დროს, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა თვით ბიბლიოთეკის მუშაკთა საქმიანობის მოწესრიგება და შრომის მეცნიერული ორგანიზაცია. ამგვარად, ორგა-

ნიზაციის ობიექტი შეიძლება იყოს არა მარტო საგნერი. შრომითი ოპერაციები, არამედ აღამიანები, მომსახურე პერსონალი, კადრები. ბიბლიოთეკის მუშაკები საგნებთან ურთიერთმიმართებაში აწარმოებენ ამა თუ იმ სამუშაო ოპერაციას, რომლის შედეგადაც ხდება შრომის საბოლოო მიზნის მიღწევა (შრომითი პროცესშის შექმნა). სამუშაო საგანთა (იარაღთა), ბიბლიოთეკის მომხმარებელთა და მომუშავე პერსონალის ორგანიზებულ ურთიერთობის მოწესრიგებასა და გაძლოლას საქმის მართვა ეწოდება.. იგი წარმოებს სათანადო წესების, კანონებისა და ინსტრუქციების დაცვის საფუძველზე.

მართვა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს მართულისა და მმართველის ურთიერთობის გარკვეულ სისტემას, რომელიც ჩამოყალიბებული პრინციპებით ხორციელდება. ეს პრინციპებია: მართვის სახელმწიფოებრიობა, მეცნიერულობა, დემოკრატიულობა, კავშირი პრაქტიკასთან, წარმოების აქტიური დახმარება, საქმისადმი სისტემური მიღვომა, ოპტიმალურობა.

მართვას თავისი ფუნქციები გააჩნია. მისი მთავარი ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ ხელი შეუწყოს გეგმიურ შრომას, ორგანიზებულობასა და ტექნოლოგიური დისციპლინის ყვანმტკიცებას, არეგულიროს შრომის პროცესები, დაწესოს კონტროლი და აწარმოს აღრიცხვა, უზრუნველყოს აღამიანთა შორის ჯანსაღი, საქმიანი ურთიერთობა.

მართვის მეთოდები — ეს არის ბიბლიოთეკის მუშაკებზე მიზანმიმართული ზემოქმედების ხერხები, რომელებიც უზრუნველყოფენ მომუშავე პირთა მოქმედების

შეთანხმებულობას, რაც თავისთავად განაპირობებს შრომითი პროცესების განუხრელ და მიზანდასახულ მიმღინარეობას.

მართვის მეთოდები არის როგორც უფლებრივი, ისე ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული. პირველი გულისხმობს საკანონმდებლო ქერძების, დებულებების, ბრძანებულებების, განკარგულებების, ინსტრუქციებისა და სხვა სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი დოკუმენტების გამოყენებას, მეორე — ბიბლიოთეკის საქმიანობაზე ზემოქმედებას ადმინისტრაციულად მონიჭებული უფლებებით, კონტროლს მუშავებზე, მოთხოვნას მათ მიმართ პროცესების ტექნოლოგიური შესაბამისობათ წარმართვაზე, ვადებისა და დისციპლინის დაცვაზე, კვალიფიკაციის ამაღლებაზე, შინაგანაწესითა და დებულებებით დადგენილი ნორმების ტოვრებაში გატარებაზე და სხვ.

მართვის მეთოდებს შორის განსაკუთრებით რთული განსახორციელებელია მორალური სტიმულირება, რაც მუშავის პიროვნულ თავისებურებათა გათვალისწინებას მოითხოვს, განსაკუთრებით დიდ ზემოქმედებას ახდენს ადამიანებზე და ამდენად დიდად უწყობს ხელს შრომის ნაყოფიერების ზრდას. დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე მატერიალურ სტიმულირებასაც, რასაც კიდევ მეტი ყურადღება დაეთმობა მომავალში.

ისევე, როგორც ყველა დაწესებულებაში, ბიბლიოთეკებშიც მრავალ წამახალისებელ ღონისძიებას იყენებენ; ამავე დროს გამოიყენება დასჯისა და გაკიცხვას მეთოდებიც.

მართვის პროცესებში განსაკუთრებულ როლს თ-

მაშობს ხელმძღვანელისა და თანამშრომლების ურთიერთდამოკიდებულება, ხელმძღვანელის პირადი მაგალითი, ობიექტურობა, პრესტიჟი. ხელმძღვანელის პროფესიული ოსტატობა უმთავრესი მოთხოვნილებაა შრომის სრულყოფილი ორგანიზაციისათვის.

ბიბლიოთეკის შრომის ორგანიზაცია და მართვა დღეს მეცნიერულ ნიადაგზეა დაფუძნებული. ბიბლიოთეკათმცოდნეობაში სპეციალური დისციპლინაც კი შეიქმნა — „საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზაცია და მართვა“, რომელიც ორგანიზაციისა და მართვის საკითხებისა და სრობლემების კვლევასა და განზოგადებას ახდენს.¹

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა არსებული რეზეპვების ამოქმედება, რომლებიც ჩვენს ბიბლიოთეკებში საკმაოდ მოგვეპოვება. ჯერ კიდევ სრულად ვერაა გამოყენებული შრომის ორგანიზაციაში საბიბლიოთეკო აქ-

1. ამ თავში მოცემული საკითხების უფრო ღრმად შესწავლა-სათვის შეიძლება გამოიყენოთ ფ. ყურაშვილის კომპაქტურად წარმოდგენილი სალექციო მეთოდიური მითითებანი — საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზაცია და მართვა. მეთოდ. მითით. ბიბლიოთეკათმც. ფაკ. დაუსწრ. განკ. სტუდენტებისათვის. თბ., 1975; შედარებით უფრო სრულყოფილად ეს საკითხები მოცემულია მის-საცე დამხმარე საიელმძღვანელოში — საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზაცია და მართვა. თბ., 1982; ასევე კომპაქტურადაა ეს საკითხები ცნობარში: Справочник библиотекаря. — М., 1985. შეგიძლიათ გამოიყენოთ აგრეთვე ის წიგნები, რომლებიც გვხვდება ტექსტში მითითებათა სახით.

ტივი, რომელიც ძალიან დიდ ძალას წარმოადგეს. ასე-
ვე მეტი გულისყურით უნდა მოვეკიდოთ თიშოვებულებას,
თანამშრომლის პირადი ინიციატივის გამოცოცხლებას,
დემოკრატიული უფლებების გაფართოებას, საქმისაღ-
მი შემოქმედებით მიღეომას, ტექნიკური საშუალებების
დანერგვას.

უ ი ნ ა ა რ ს ი

კითხვის ხელმძღვანელობა	3
ინდივიდუალური კითხვის ხელმძღვანელობა	8
მასობრივი კითხვის ხელმძღვანელობა	15
ბიბლიოთეკაში ლიტერატურის პროპაგანდის სახეები და ფორმები	21
ინფორმაციული მუშაობა და საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურება ბიბლიოთეკაში	32
შეითხველებთან მუშაობის ორგანიზაცია	37
შეითხველთა შესწავლა ბიბლიოთეკაში	49
ბიბლიოთეკის მუშაობის ორგანიზაცია და მართვა	67

გამომცემლობის რედაქტორი პ. გომიგობიანი.

მხატვარი რ. შავარაშვილი

მხატვრული რედაქტორი ა. თევზაძე

ტექნიკური რედაქტორი ვ. ხუციშვილი.

ფოტოექტორი დ. ცინცაძე

გამომშევები ნ. ჩხერიანი

გადაეცა წარმოებას 15.08.91. ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.05.91.
საბეჭდი ქაღალდი № 2. $70 \times 100^1/32$. გარნიტურა ვენა. ბეჭდვა
მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 3,94. პირ. სალ.-გარ. 4,10.

საალრ.-საგამომც. თაბაზი 3,35. ტირაჟი 1000. შეკვ. № 438.

ფასი 60 კაპ.

გამოშეცემლობა „საქართველო“.

თბილისი, მარჯანიშვილის 5.

სააქციო საზოგადოება „კეგელი“ ვაკა-ფშაველას პრ. 290.

1928/29

95-1124
2028/29